სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 ივლისი 2006 №170 (2792) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ფილიპეფოსიანის

გადაავადება დღეს უნდა მორჩეს

სამ უფულოს რამდენიმე საათი და ერთი შანსი აქვს: ბანკი უნდა გაიტანონ

რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში, რომელიც უკვე კარსაა მომდგარი? ალბათ, 14 და, აი, რატომ: „ცხინვალი", „კოლხეთი" და „დილა" მზად არ არიან უმაღლესში სათამაშოდო, ასე გადაწყვიტა ჯერ სარევიზიო კომისიამ, გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმაც იგივე თქვა.

ფედერაციამ დღეს საღამომდე მისცა ვადა ამ სამ კლუბს, რათა ჩემპიონატში სამონაწილეო ხარჯთაღრიცხვა და სამოქმედო გეგმა წარმოადგინონ. თუ სამივე უმაღლესს მიღმა დარჩება, მათ ნაცვლად პირველი ლიგიდან უმაღლესში „გაგრა" აღზევდება და ჩემპიონატი 14-გუნდიანი გახდება, რისთვისაც ფედერაცია მზად ყოფილა.

და თუ თითხმეტიანობა იქნება, მაშინ საქართველოს თასი ახლებურად, ჯგუფური სისტემით გათამაშდება — ეს იმიტომ, რომ ჩემპიონატში თამაშების რაოდენობა დაიკლებს და თასზე მაინც აინაზღაურონ გუნდებმაო...

ეს და სხვა საინტერესო ცნობებიც ფედერაციის გუშინდელი აღმასკომის სხდომის შემდგომ პრესკონფერენციაზე გვითხრეს ფედერაციის მესვეურებმა. „სხვა საინტერესოში" კი ისიცაა, რომ ფედერაციის ყოფილი გენმდივანი გრიგოლ ცაავა ვიცე-პრეზიდენტად დამტკიცდა. ითქვა ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლის თაობაზეც, ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებულ ამბებსა და 2 სექტემბრის საქართველო — საფრანგეთის მატჩის ბილეთების ფასებზე...

თასის მატჩრეზელი

ლოკომოტივმა ლელო გაიტანა

ბადრი კეთილაძის ფოტო

განაჩენი საბოლოოა და...

ბებერ ქალბატონს ყველაზე მეტი მოხვდა

გუშინ კალჩოპოლის სკანდალი საბოლოოდ დასრულდა და იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ პიერო სანდულიმ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, აწი არსად რომ არ გასაჩივრდება.

გეხსომებათ, „იუვენტუსმა", „მილანმა", „ლაციომ" და „ფიორენტინამ" ადრინდელი ვერდიქტი გაასაჩივრეს, აქაოდა, ეგეთ მკაცრ სასჯელს არ ვიმსახურებდითო. გუშინწინ პროკურორმა სტეფანო პალაციმ მოსარჩელე კლუბებს მაგიდაზე მუშტებიც უბრახუნა, რომელ შეწყალებას ითხოვთ, როცა ამ საქმეში თხემით ტერფამდე ხართ გასვრილებიო, თუმცა...

პიერო სანდულიმ ჯერ კლუბების ადვოკატებს მოუსმინა, მერე და საბოლოოდ კი აი, რა დაადგინა:

ტურინის „იუვენტუსი" ახალ სეზონს სერია B-ში დაიწყებს, ოღონდ არა მინუს 30 ქულით, არამედ მინუს 17-ით. კლუბს ჩამოერთვა ბოლო ორ სეზონში მოპოვებული სკუდეტო და ამასთან სამ საშინაო შეხვედრას ვერ გამართავს „დელე ალპიზე".

რომის „ლაციო" და ფლორენციის „ფიორენტინა" დარჩნენ სერია A-ში, წინა სეზონის შედეგიდან ჩამოეჭრათ 30-30 ქულა, ახალ სეზონს კი, შესაბამისად, მინუს 11 და მინუს 19 ქულით დაიწყებენ. „ლაციო" ორი საშინაო მატჩითაა დასჯილი, „ფიორენტინა" სამით.

AFP რომიდან

პიერო სანდულის რომაული სამართალი

„მილანს", რომელიც წინა ვერდიქტით ისედაც დარჩა სერია A-ში, შარშანდელი მონაგარიდან 30 ქულა ჩამოეჭრა, რაც იმას ნიშნავს, რომ „როსონერი" ჯგუფური ეტაპის მაგივრად ჩემპიონთა ლიგას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, ახალ სეზონს მინუს 8 ქულით შეხვდება, ხოლო „სან სიროზე" ერთ მატჩს ვერ გამართავს.

დღეს კი იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უეფას შტაბბინაში ევროთასების მონაწილეთა საბოლოო განაცხადს გაგზავნის, რომლის თანახმადაც წინა სეზონის ჩემპიონად გამოცხადებული „ინტერი" და „რომა" ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური ეტაპიდან ჩაერთვებიან, ხოლო „მილანი" და „კიევი" ბოლო, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან.

უეფას თასზე კი იტალიას „პალერმო", „ლივორნო" და „პარმა" წარადგენენ.

ლევსკი დაწოლაზეა

სტანიმირ სტოილოვი: დიდი და მშრალი გვჭირდება

დღეს, ჩვენი დროით 21.30-ზე, ბოლნისის „სიონს“ სოფიის „გეორგი ასპარუხოვზე“ მძიმე გამოცდა დაეწყება. „ბაკი“ მოსატანიც არაა „ლევსკისთან“ — ბულგარეთის 24-გზის ჩემპიონთან და ქვეყნის ყველაზე პოპულარულ კლუბთან.

კახა ცხადაძის გუნდმა გუშინ 19 საათზე ივარჯიშა „გეორგი ასპარუხოვზე“, მერე კი „სიონის“ თავკაცმა ნახევარსაათიანი პრესკონფერენცია გამართა.

„ლევსკის“ კი ძალიან ამაყად უჭირავს თავი და მათ მწვრთნელ სტანიმირ სტოილოვის სიტყვებიდან ჩანს, რომ მშრალი და დიდსხვაობიანი მოგების გარდა არაფრის გაგონებაც არ სურს.

„პირველივე წუთებიდან შეტევაზე ვითამაშებთ. მეტოქეს არ ვიცნობთ, მაგრამ წყვილის ფავორიტები ვართ, თანაც შინ ვთამაშობთ და გოლები გვჭირდება. რაც უფრო მალე გავიტანთ, მით უკეთესი. ბევრი იქნება დამოკიდებული ჩვენს ფორვარდებზე და კარგია, თუ მომენტებს გამოიყენებენ. ამასთან, ფხიზლად უნდა ვიყოთ დაცვაში, თორემ ერთი გაშვებული ბურთიც კი საქმეს გაგვირთულებს. „სიონს“ ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს.“

ბულგარელები რომ „სიონს“ არ უფრთხიან, იქიდანაც ჩანს, რომ სტოილოვმა სადღეისო ძირითადი შემადგენლობა უკვე დაასახელა: გეორგი პეტკოვი; სტანისლავ ანგელოვი, იგორ ტომაშიჩი, ელინ ტოპუზაკოვი; რიჩარდ ერომოიგბე, დანიელ ბორიმიროვი, ლუსიო ვაგნერი, დიმიტარ ტელკისკი; ემილ ანგელოვი, სედრიკ ბარდონი, ხრისტო იოვოვი.

აქვე ვთქვათ, რომ გუშინ არ უვარჯიშია „ლევსკის“ სამ ფეხბურთელს: კოსტადინ დიაკოვს, მარიან ოგნანოვსა და ნიგერიელ აკუნდაიო ჯაიეობას. სავარაუდოდ, განაცხადშიც არ იქნება ფორვარდი გეორგი ივანოვი, რომელიც ფრანგულ „ლანსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს.

„ლევსკი“ — „სიონს“ ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება. მთავარი არბიტრი ფრიც შტუხლიკი იქნება.

ილია ნანოგაშვილი

რა უდევს საფუძვლად პროტექციონისტულ პოლიტიკას?

ვიტ ჯორჯია
დინამო
ამერი
მერანი
ოლიმპი
ჩიხურა
ლოკომოტივი
ზესტაფონი
ტორპედო

სიონი
ალბეთი
ბათუმი
ბორჯომი

კოლხეთი
დილა
ცხინვალი

არსებული ვითარება პოლიტიკური განცხადების საფუძველს იძლევა — საქართველოს ხელისუფლება ფეხბურთში საერთო პოლიტიკას არ მიმართავს.

მე-18 ეროვნული ჩემპიონატი კარს მოგვადგა და უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი შველას სახელმწიფოსგან ითხოვს — „კოლხეთი“, „დილა“, „ცხინვალი“... ამ გუნდებს ფული არ აქვთ, მაგრამ ახსოვთ ის დრო, როცა ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან ფინანსდებოდნენ.

ბოლნისის „სიონი“ კი წლეულს საქართველოს ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიც გაიარა. ცხადია, ასეთი წარმატება სტაბილური დაფინანსების გარეშე შეუძლებელია. „სიონს“ ბოლნისის გამგეობა პატრონობს, ხოლო გუნდის სპონსორი საწარმო „მადნეულია“. ანუ მაშინ, როცა გაჭირვებულ გუნდებს ეუბნებიან, რომ კანონით აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებიდან მათი დაფინანსება, სხვა გუნდს გამგეობა პატრონობს და სპონსორიც ჰყავს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება თელავის „კახეთიც“, რომელსაც მძლავრი ბიუჯეტი არ აქვს, მაგრამ საარსებოდ და უმაღლესი ლიგიდან არგავარდნისთვის ფული ჰყოფნის.

„სიონის“ საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძე გახლდათ, ის ბაქოშიც იყო და „ბაკი“ — „სიონის“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს დაესწრო. კახეთის გუბერნატორი კი პეტრე ცისკარიშვილია, ვინც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ კირკიტაძესავით გავლენიანი პოლიტიკოსი თუ ვერაა, არც უწონო ფიგურაა. არაა სასურველი, პრიმიტიულად მივუდგეთ საკითხს, მაგრამ ფაქტია, იქ, სადაც კირკიტაძე და ცისკარიშვილი არიან, საფეხბურთო გუნდები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, იმასაც იტყვიან, „მადნეული“ ჩვენი მითითებით სულაც არ სპონსორობს „სიონს“, ბოლნისის გუნდს მაისურაზე „მადნეული“ რომ აწერია, ამ საწარმომ იქნებ მეტი ოქრო, ვერცხლი და სპილენძი მოიპოვოს კაზრეთის კარიერზეო.

იმავე ლოგიკით შეუძლია იმსჯელოს ფოთის „კოლხეთმაც“ — ოღონდაც პრივატიზებულმა ფოთის პორტმა დაგვაფინანსოს და მაისურებზე ჩვენც დავიწერთ ამ საწარმოს სახელს და იქნებ ამით უფრო მეტი გემი შემოვიდეს ფოთის პორტშიო.

სარკაზმად ციფრებზე გადაკიდეთ: სანამ დღეს საბოლოოდ გადაწყდება უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა, უმაღლესი ლიგის 16 გუნდიდან ცხრას კერძო სტრუქტურა აფინანსებს — „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „ამერი“, „მერანი“, „ოლიმპი“, „ჩიხურა“, „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“ და „ტორპედო“; ოთხ გუნდს სახელმწიფოს დახმარებით უკავია გული — „სიონი“, „კახეთი“, „ბათუმი“ და „ბორჯომი“; ხოლო სამი იმავეს ითხოვს სახელმწიფოსგან — „კოლხეთი“, „დილა“ და „ცხინვალი“.

ხელისუფლების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა წარმომადგენელმა გიგა ბოკერიამ გვითხრა, რომ ხელისუფლებისგან ფეხბურთს დავით კირკიტაძე და სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილი კურირებენო და კითხვაც მათ უნდა დავუსვაო — რა პრინციპით უწევს ხელისუფლება პროტექციას საფეხბურთო გუნდებს?

დავით თავართქილაძე



რუსეთი

პრემიერლიგა. XIII ტური

მოსკვა 1:1 დინამო

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

ელფსბორგი 3:0 ჰამარბი

შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

სენტ გალენი 0:0 გრასჰოპერი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

CHAMPIONS LEAGUE

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ეკრანასი (ლიტვა) 1:4 დინამო (ზაგრები, ხორვატია)

ამხანაგური მატჩები

ნიურნბერგი (გერმანია) 2:1 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
არმინია (გერმანია) 3:3 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
ემენი (ჰოლანდია) 0:6 აიაქსი (ჰოლანდია)
ტულუზი (საფრანგეთი) 0:1 ოსასუნა (ესპანეთი)
შაფჰაუზენი (შვეიცარია) 0:1 ფრაიბურგი (გერმანია)
ბრედა (ჰოლანდია) 0:1 გენჩლერბირლიგი (თურქეთი)
ლიონი (საფრანგეთი) 2:0 პაოკ (საბერძნეთი)
ლანსი (საფრანგეთი) 2:3 რენი (საფრანგეთი)
სერკლ ბრიუგე (ბელგია) 1:1 ვალვაიკი (ჰოლანდია)
მაგდებურგი (გერმანია) 2:1 მიონხენგლადბახი (გერმანია)
შალკე (გერმანია) 3:1 ბორდო (საფრანგეთი)
მატერსბურგი (ავსტრია) 1:2 არსენალი (ინგლისი)
ბევერენი (ბელგია) 1:4 ვიტესი (ჰოლანდია)
ბარნსლი (ინგლისი) 1:3 მიდლსბრო (ინგლისი)
დანფერმლაინი (შოტლანდია) 0:1 ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) 3:2 ჩარლტონი (ინგლისი)
სტოკ სიტი (ინგლისი) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ჰადერსფილდი (ინგლისი) 0:0 სოსიედადი (ესპანეთი)
ჰალი (ინგლისი) 0:2 ასტონ ვილა (ინგლისი)
სტივენეიჯი (ინგლისი) 0:3 ტოტენჰემი (ინგლისი)

გრიგოლ ცაავა, ნოდარ ახალკაცი, დიმიტრი რამიშვილი და გოგი ქავთარაძე

სამი გაჭირვებულის კომბინაციონალური პრობლემა

დღეს გაირკვევა და აიწონა-დაიწონა აღარ იქნება. დღეს გაირკვევა, რამდენგუნდიანი იქნება მე-18 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა. ეს საკითხი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელი აღმასკომის სხდომის ლაიტმოტივი, თუმცა სხვა საინტერესო ამბებიც განიხილეს და ყოველივე ამის შესახებ საღამოს ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში გვაცნობეს ჟურნალისტებს.

პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტებმა გოგი ქავთარაძემ, დიმიტრი რამიშვილმა და გრიგოლ ცაავამ ისაუბრეს. ცაავამ გაგაკვირვათ? დიახ, ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი გუშინ აღმასკომმა ვიცე-პრეზიდენტად დაამტკიცა

29 ივლისს უმაღლესი ლიგა იწყება, მაგრამ რას იზამ ამ დუხჭირი კლუბების გადამკიდე, რამდენი კლუბი ითამაშებს — 14 თუ 16?

დიმიტრი რამიშვილმა ვითარებაში გაგვარკვია: „გეცოდინებათ, სარევიზიო კომისიას, 7 კაცის შემადგენლობით, კლუბებში არსებული მდგომარეობის შესწავლა ევალებოდა. აღმოჩნდა, რომ სამი კლუბი — „ცხინვალი", კოლხეთი" და „დილა" — უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის მზად არ არის. ასე გადაწყვიტა აღმასკომმა. მათ ბოლომდე ხაზი არ გადავუსვით და ხვალ საღამომდე მივეცით ვადა, რათა წარმოადგინონ სამოქმედო გეგმა და საგარანტიო თანხა, რითაც აპირებენ ჩემპიონატში მონაწილეობას. კლუბების მიმართ აღმასკომი ასეთი პრინციპული არასოდეს ყოფილა".

ნოდარ ახალკაცმა სხვა საინტერესო სიახლეებზე გვითხრა: „ჩვენ დღესვე მზად ვართ 14-გუნდიანი ჩემპიონატის ჩასატარებლად. თუ „ცხინვალიც", „დილაც" და „კოლხეთიც" უმაღლეს ლიგაში დარჩებიან, „გაგრას" ამოვწევთ პირველი ლიგიდან, რადგან ამ გუნდმა ეს სპორტული პრინციპით დაიმსახურა. თუ სამეულიდან ერთი მაინც დააკმაყოფილებს პირობებს, მაშინ თავისთავად პირველობა 14-გუნდიანი იქნება, ხოლო თუ 15 გუნდი მოგროვდა, მაშინ „გაგრას" დავამატებთ და 16 გუნდი შეიკვრება. ასე რომ, გამოუვალი სიტუაცია არ არის. აქვე ვიტყვი, რომ „გაგრა" თუ გადმოვიდა, მას ის სანქციები არ შეუმსუბუქდება, რაც „ცხინვალთან" საპლეიოფო მატჩში ამტყდარი სკანდალის შემდეგ მიიღო".

და კიდევ, წლეულს თუნდაც 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჩატარდეს, გაისად მათი რიცხვი 14-მდე შემცირდება — სამი კლუბი გავარდება, ერთი გადმოვა, ხოლო უმაღლესი ლიგის ბოლოდან მეოთხეადგილოსანი პირველიგელ მეორეადგილოსანთან პლეი ოფში ითამაშებს. გარდა ამისა, პირველ ლიგას ხუთის ნაცვლად ოთხი გუნდი დატოვებს, მათ კი რეგიონალლიგაში გამარჯვებულები შეენაცვლებიან — ეს ყველაფერი მოხდება 2006-2007 წლების სეზონში.

ნოდარ ახალკაცი: „გაისად იქნება თუ წლეულსვე, უმაღლესი ლიგა თუ 14-გუნდიანი გახდა, კლუბებს თამაშების რაოდენობა რომ არ მოაკლდეთ, დავით ყიფიანის სახელობის თასზე მივუმატებთ მატჩებს: თასი ჯგუფური სახით გათამაშდება".

ფედერაციის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ შეიქმნა ბავშვთა ფეხბურთში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის გეგმა, რომელსაც გრიგოლ ცაავა მიხედავს. ცაავას სფეროა ქალთა ფეხბურთი და ფუტზალიც.

აღმასკომზე განიხილეს ვეტერან ფეხბურთელთა დახმარების საკითხიც: „ვეტერანებისთვის ადრე ყოველთვიურ საერთო თანხად 3000 ლარი იყო გამოყოფილი ფედერაციისგან, ახლა კი საშუალება გვაქვს, უფრო აქტიურად დავეხმაროთ მათ" — თქვა ახალკაცმა.

მნიშვნელოვანი საკითხი იყო თაღლითობასთან ანუ ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლა. აღმასკომის გადაწყვეტილებით, ყალთაბანდობაში შემჩნეული პიროვნებები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან. ახალკაცმა განაცხადა, სხვანაირად ძნელია გარიგებული თამაშების „ფენომენთან" შეჭიდებაო. ანუ საფეხბურთო თაღლითობები იურისტების და პროკურატურის განკარგულებაში გადავა.

რაც შეეხება კლუბების ლიცენზირების სისტემას: 2008-2009 წლების სეზონიდან ულიცენზიო კლუბები შიდა ჩემპიონატშიც ვერ ითამაშებენ, 2007-2008 წლების სეზონიდან კი ფედერაცია ყველა კლუბისგან მოითხოვს ფინანსური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. ლიცენზირებაში იგულისხმება ინფრასტრუქტურა, რაც ყელზე ნაჯახივით ადევთ ჩვენს კლუბებს.

გოგი ქავთარაძე: „ბუნებრივია, გაინტერესებთ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის ამბებიც. 2 სექტემბერს სტადიონი სრულ მზადყოფნაში იქნება და ორ დიდ მოვლენას შევესწრებით — ერთი რომ, სტადიონის გახსნის ცერემონიალი იქნება და მეორე, საქართველო — საფრანგეთის მატჩი გაიმართება. რაც შეეხება ამ მატჩზე დასასწრებ ბილეთებს, ზუსტ ღირებულებას ვერ გეტყვით, მაგრამ იქნება როგორც 50-ლარიანი, ასევე 7-10-ლარიანი, ანუ მინიმალური ფასის ბილეთები. თანაც 7-10-ლარიანი ბილეთები საკმაოდ მრავლად დაიბეჭდება. ფეხბურთი მხოლოდ ელიტისთვის არაა, ფეხბურთი ხალხისაა და ეს მშვენივრად გვესმის. 2 სექტემბრის ღონისძიებისთვის შეიქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ მერია, სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნაკრების ფან-კლუბი, ფეხბურთის ფედერაცია და შესაძლოა, სხვა ორგანიზაციებიც".

მოკლედ, გუშინდელი პრესკონფერენცია საქმით გუშინვე არ დასრულებულა და გაგრძელება დღეს იქნება — 14 თუ 16 გუნდი, ეს საღამოს გაირკვევა. ახალკაცმა ხაზი გაუსვა: არ გვინდა, უმაღლეს ლიგაში განწირული გუნდები იყვნენ და საშინაო მატჩების ნაცვლად სტუმრად ითხოვდნენ თამაშს, თავის მოტყუების სცენარით აღარ ვიმოქმედებთო...

ილია ნანობაშვილი

ფარერებისთვის საქართველო და იტალია ერთია...

მარტინ ოლსენი დანიით გვიცნობს



საქართველოს ნაკრების მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ოფიციალურ დებიუტამდე ცოტა დრო რჩება. ჩვენები 16 აგვისტოს ფარერებზე მატჩით დაიწყებენ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს. იმედი, იცოცხლეთ, ისეთი გვაქვს, აქამდე არც ერთი შესარჩევის დაწყებამდე რომ არ გვქონია, თუმც ისიცაა, ფარერების მერე ტოპმიოლერის შეგირდებს ჯერ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთთან, მერე ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინასთან და ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან მატჩები ელით. ეს მხოლოდ წლეულს...

მოკლედ, კიდევ ერთი შესარჩევი ციკლი ახლოვდება და ჩვენც ნელ-ნელა ჩვენს საქმესაც შევუდგეთ. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე ფარერები 16 აგვისტოს მატჩისთვის მზადებას უკვე იწყებს. ეს ინფორმაცია გუშინ მივიღეთ და გუშინვე ფარერელთა მწვრთნელ მარტინ ოლსენსაც დავუკავშირდით...

— დიახ, საქართველოსთან მომავალი მატჩისთვის მზადებას რამდენიმე დღეში დავიწყებთ. შესაძლოა, გუნდი უკვე მომავალ კვირას შევკრიბო. ჯერ კიდევ ვფიქრობ, რომელი ფეხბურთელები გამოვიძახო ნაკრებში და შეკრების დაწყების ზუსტ თარიღსაც ამიტომ ვერ გეუბნებით.

— ჯერ არ იცით, რომელ ფეხბურთელებს დაუძახებთ?

— როგორ არ ვიცი, მაგრამ მსურს ორ-სამ ფეხბურთელს კიდევ დავაკვირდე და დავრწმუნდე, რომ ისინი ნაკრების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

— საბოლოოდ, მზადებას უძლიერესი შემადგენლობით დაიწყებთ?

— დიახ, თუმცა, როგორც გითხარით, მსურს რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდაც გამოვიძახო.

— ფარერების ნაკრების ლიდერად ვის მიიჩნევთ?

— მეკარეს... არა, ნაკრების ლიდერი ცენტრალური მცველი იოჰანსონია...

— მეკარეც და ცენტრალური მცველიც?

— არა, ლიდერი იოჰანსონია. ის გამოცდილი და კარგი ფეხბურთელია.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფიქრობთ, რომ საქართველო-ფარერების შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებულთა ვინაობა უკვე გარკვეულია?

— არა, ასე არ ვფიქრობ. ცხადია, საფრანგეთი და იტალია ჯგუფში აშკარა ფავორიტები არიან, მაგრამ თავიანთი მცირე თუ დიდი შანსები უკრაინას, შოტლანდიას და საქართველოს ნამდვილად აქვთ. დღევანდელ ფეხბურთში გამორიცხული არაფერია და ბევრი სიურპრიზიცაა მოსალოდნელი.

— იცით, რომ 16 აგვისტოს მატჩამდე ფარერებზე ჩამოსვლას საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი აპირებს?

— არა, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელებს ეს ჩემთვის არ უთქვამთ.

— საქართველოს ნაკრებზე რა ინფორმაცია გაქვთ?

— დანია — საქართველოს მატჩი ვნახე. საქართველოს კარგი და მოქნილი გუნდი ჰყავს, ძლიერი მეტოქეა.

— დანიის შემდეგ ქართველების თამაში არ გინახავთ?

— არა. დანია — საქართველოს მატჩის ფირი კი ახლაც თან მაქვს.

— ფიქრობთ, რომ თქვენთვის კარგი ვარიანტია შესარჩევი ციკლის შინ, საქართველოსთან მატჩით დაწყება?

— ჩემთვის სულ არ აქვს მნიშვნელობა, შესარჩევ ციკლს საქართველოთი დავიწყებთ თუ იტალიით...

...ბოლოს, აი, ასეთი ალალი პასუხი მივიღეთ ფარერელთა მწვრთნელისგან.

ძოგა ინასარიძე

უეფას თასი
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი
მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი
27 ივლისი
ვიტ ჯორჯია — არტმედია
თბილისი ბრატისლავა
დასაწყისი 18 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

ამერის პირველი დღე ერევანში

გუშინ, ნაშუადღევს, თბილისის „ამერი“ ერევანში ჩავიდა და სასტუმრო „ერევანში“ დაბინავდა. მოგეხსენებათ, ხვალ თბილისელებს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი ელით „ბანანცთან“. შეხვედრა ერევნის „რესპუბლიკურზე“ 18 საათზე დაიწყება.

„ამერმა“ კი ერთი ვარჯიშის ჩატარება გუშინვე მოასწრო. „ბანანცმა“ მეტოქეს თავისი ბაზის ერთი მოედანი დაუთმო. მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ შეგირდები საათნახევარი ავარჯიშა. ამერელთა ბანაკიდან მნიშვნელოვანი სიახლე არაფერია, „ბანანცთან“ მატჩისთვის 19 ფეხბურთელი ემზადება. თბილისელებს ერთი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი გიზო ჯელაძე დააკლდებათ, იგი ამ გუნდების პირველი შეხვედრისას გააძევეს.

თბილისში გაძევებულ ერთ ფეხბურთელს „ბანანციც“ მოისაკლისებს — ნახევარმცველი ბურდიანი ლუქსემბურგელმა მსაჯმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაითხოვა მოედნიდან. სამაგიეროდ, სომხებს ხვალ დაემატათ შემტევი ნახევარმცველი არიანი, ვისაც პირველ მატჩში ასევე დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია..

მოკლედ, ხვალ, ერევნის „რესპუბლიკურზე“ ძალიან საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს. თბილისის მატჩი, ალბათ შეხსენება არც გჭირდებათ, სომხებმა 1:0 მოიგეს და „ყვითლებს“ „ბანანცის“ დასამარცხებლად ერევანში ორი გოლი სჭირდებათ.

შეხვედრას კი ბულგარელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

კოტა ინასარიძე

უცნაურია, მაგრამ ფაქტია

კახა კალაძე შვებულებისას დაშავდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, „მილანის“ 28 წლის მცველი კახა კალაძე ტრავმირებულია — ის მუხლმა შეაწუხა და ვერ ვარჯიშობს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — კალაძემ ტრავმა იტალიაში გამგზავრებამდე, საქართველოში მიიღო, სადაც შვებულებას ატარებდა. კონკრეტულად რა ვითარებაში დაშავდა კალაძე სამშობლოში, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

სერია **A**, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოს დაიწყება, ხოლო საქართველოს ნაკრებს უახლოესი მატჩი 16 აგვისტოს აქვს ფარერის კუნძულებთან და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კალაძე ჯანზე იქნება — ის ვარჯიშს დაახლოებით ორ კვირაში შეუდგება.

დავით თავგართქილაძე

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (აღმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ვვარჯიშობ და ველი

ზვიად სტურუა გაურკვევლობაშია

2004-05 წლების სეზონი იყო, ზვიად სტურუამ ეროვნული ჩემპიონატის რეკორდი რომ მოხსნა კარის მშრალად შენახვაში. მაშინ სტურუა თბილისის „ლოკომოტივში“ იყო და ცოტაღა დააკლდა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებამდე. მერე იყო ტრანსფერი თბილისის „დინამოში“, თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, ზვიადმა ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა, მაგრამ...

დღეს სტურუა ტრანსფერზეა დაყენებული და „დინამო 2“-ში ვარჯიშობს. 28 წლის მეკარე მოწყენილი გვესაუბრება თავის ახლანდელ მდგომარეობაზე

— სეზონის დასრულებისთანავე „დინამომ“ მე და რამდენიმე მოთამაშეს განახლებული კონტრაქტი შემოგვთავაზა — გაუარესებული პირობებით, ანუ ხელფასის დაკლებით. ამაზე უარი ვთქვი და ტრანსფერზე დამაყენეს.

— სხვა გუნდებიდან არ გაქვს წინადადებები?

— ჯერჯერობით არა. კონტრაქტით კიდევ ერთი წელი დამრჩა „დინამოში“ სათამაშო, ასე რომ, ჩემმა მსურველმა კლუბმა თანხა უნდა გაიღოს, რათა დამიხსნას. ვნახოთ, ველოდები ვარიანტებს.

— „დინამოს“ ხელმძღვანელობა არ გეხმარება ახალი კლუბის გამონახვაში?

— როდესაც ტრანსფერზე დამაყენეს, „დინამოს“ დირექტორ ბუბა ტყავაძეს ამ საკითხზეც ველაპარაკე. ბუნებრივია, არც „დინამოს“ აწყობს, რომ 28 წლის მეკარე სათადარიგო გუნდში ჰყავდეს.

— აგენტი არ გყავს?

— არა, არც არასოდეს მყოლია. ყოველთვის ჩემი თამაშით გამქონდა თავი, სხვის დაუხმარებლად ვმოქმედებდი.

— ახლა ალბათ ნანობ „დინამოში“ გადასვლას...

— როგორ გითხრათ... „დინამოში“ საუკეთესო სეზონი ნაღდად არ გამიტარებია, უფრო მეტად შემეძლო გუნდის დახმარება. რას ვიზამ, ასეთი იყო ღვთის ნება — ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა.

— „დინამოს“ ხელმძღვანელობაზე ნაწყენი ხარ?

— არც ხელმძღვანელობაზე და არც მწვრთნელებზე არ ვარ ნაწყენი. „დინამომ“ თავისი პოლიტიკა მკვეთრად ჩამოაყალიბა: მათ სჭირდებოდათ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მომავალზე გააკეთეს აქცენტი და ეს იყო... ასე ჩათვალეს საჭიროდ და ნაწყენი როგორ ვიქნები.

— და თუ შენი მსურველი კლუბი არ გამოიძებნა, „დინამო 2“-ში გააგრძელებ თამაშს?

— სხვა გზა აღარ მექნება, მალე ჩემპიონატიც იწყება და მანამდე თუ არა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე იქნებ მოხერხდეს რამე.

— შენ გარდა „დინამო 2“-ში ტრანსფერზე დაყენებული სხვა ფეხბურთელებიც ვარჯიშობენ?

— დიახ, რევაზ ქემოკლიძე და ლაშა ნოზაძე. ისინიც ჩემსავით წინადადებებს ელიან სხვა კლუბებიდან.

ილია ნანოგაფვილი

მეშვიდე ჯუჯა

კარლოს დუნგა

დაიბადა 1963 წლის 31 ოქტომბერს იუუიში, რიო გრანდე დუ სული, ბრაზილია.

კლუბები: ინტერნასიონალი (1980-84) და (1999-2000), კორინთიანსი (1984-85), სანტოსი (1986-87), ვასკუ და გამა (1987), პიზა, იტალია (1987-88), ფიორენტინა, იტალია (1988-92), პესკარა, იტალია (1992-93), შტუტგარტი, გერმანია (1993-95), ჯუბილო ივატა, იაპონია (1994-98)

ბრაზილიის ნაკრებში ჩაატარა 91 შეხვედრა, გაიტანა 6 გოლი. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი; 1984 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი; 1990, 1994, 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე; 1994 და 1998 წლებში იყო ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი

ასე და ამგვარად, ბრაზილიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს: კარლოს კაეტანო ბლედორნ ვერი, დაბადებული 1963 წლის 31 ოქტომბერს ბრაზილიაში, რიო გრანდე დუ სულში, უფრო კონკრეტულად კი, ინჟუიში. ის გახლავთ ინგლისური კლუბის, „ქუინზ პარკ რეინჯერსის" დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი. ფეხბურთელობისას თამაშობდა ჩამშლელ ნახევარმცველად, 1994 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

დაგვეთანხმეთ, ჟურნალისტობა უმადური პროფესიაა — შემდგომი ეფექტის მოსახდენად წერ ოდნავ გაუგებარ შესავალს, მაგრამ, რად გინდა, საგაზეთო წერილი წიგნი არ არის, გვერდით ახლავს შენ მიერ შესავალში დამალული კაცის დიდი ფოტო და სათაურში, სავარაუდოდ, პირდაპირ წერია მისი გვარი. ასეთია ჟანრის კანონი და ყველაზე კარგი ჟურნალისტი არის ის, ვინც სტატიას ასე დაიწყებს: ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს დუნგა.

დუნგას სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვს, რის გამოც მისი დანიშვნა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქვეყნისთვის ძალიან უცნაური გადაწყვეტილებაა. ბოლოს ასეთი რამ ბრაზილიელებმა 1990 წელს გაბედეს, როდესაც „სელესაო" პაულუ რობერტ ფალკაოს ანდეს (ფალკაო 80-იანი წლების უდიდესი ნახევარმცველი გახლდათ), მაგრამ ერთ წელიწადში მოაშორეს თანამდებობას. ისე, დუნგას შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ მას 2000წელსაც ეპატიჟებოდნენ ნაკრების მწვრთნელად და მაშინ უარი თავად განაცხადა, არ მომწონს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია საქმეებს როგორ აწარმოებსო.

როგორც ამბობენ, დუნგა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის მთავარი კანდიდატი მაინც არ ყოფილა. უპირველესად, თურმე, რიოში ვანდერლეი ლუშემბურგოზე ფიქრობდნენ, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო უკან დაიხიეს. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ის ყოფილა, რომ 1998-2000 წლებში, როდესაც ლუშემბურგო „სელესაოს" ედგა სათავეში, რონალდინიო არ მოსვლია თვალში და მას მერე ბარსელონელთან ცუდი ურთიერთობა ჰქონია.

მერე კანდიდატად განიხილავდნენ პაულუ აუტორის, მაგრამ ეს მწვრთნელი შარშან და შარშანწინაც პერუს ნაკრებს ედგა სათავეში და მისი ხელმძღვანელობით პერუელები ისეთი უსახურები იყვნენ, რომ ბრაზილიელებმა ისევ დუნგა ამჯობინეს.

რა იქნება დუნგას ყველაზე დიდი ამოცანა? ბრაზილიაში მიიჩნევენ, რომ ახალმა მწვრთნელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, რას უპირებს რონალდოს, კვლავ ათამაშებს თუ გაბედავს და ნაკრებში აღარ გამოიძახებს... და, ცხადია, დუნგამ ბრაზილიელები გამარჯვების გზებზე უნდა დააბრუნოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ქვეყნის 180 მილიონი მოქალაქე წლეულს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ელოდა და მთელი მსოფლიოსთვის ხელის დაქნევას აპირებდა, მაგრამ, ვაგლახ, მათი გუნდი მეოთხედფინალიდან გავარდა, ხოლო იტალია მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და, სადაც თქვენ, თითქმის იქაც მეო, გამოუცხადა.

ამრიგად, დუნგა ახალი მწვერვალისკენ იწყებს მოძრაობას და პირველ ნაბიჯს 16 აგვისტოს, ნორვეგიაში, ამხანაგურ შეხვედრაში გადადგამს.

ამბობენ, რომ დუნგას მისვლით ბრაზილიის ნაკრებში წინა მწვრთნელის, კარლოს ალბერტო პარეირას ლიბერალური ქცევა ხისტი და მკაცრი ურთიერთობებით შეიცვლება. იხსენებენ დუნგას, როგორც ფეხბურთელს: 1990 წელს, იტალიის მუნდიალზე ის იყო ორთაბრძოლების მოყვარე, შემოქმედებითი ფეხბურთისგან შორს მყოფი ნახევარმცველი, რომელსაც, როგორც ასეთს, დააბრალეს კიდეც ყველაფერი. თავად დუნგა იგონებს, რომ მაშინ ბრაზილიაში განტევების ვაცი სჭირდებოდათ და ამ ვაცად ის ამოარჩიეს. მაგრამ „ვაცი" მტკიცე ნერვებისა აღმოჩნდა, 1994 წლის მუნდიალზე ის ნაკრების კაპტინად, ძველებურად ჩამშლელ და ახლებურად გრძელი პასების გადამწოდებელ და კარში ღონივრად დამრტყმელ ნახევარმცველად მოევლინა ქვეყანას. იმ წელიწადს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა ტერმინი— „დუნგას ერა".

დაბოლოს, კიდევ ერთი შტრიხი დუნგას პორტრეტისთვის: მას მეტსახელად „დოპის" უწოდებენ, „დოპი" კი უოლტ დისნეის მიერ 1937 წელს გადაღებულ ცნობილ ნახატ ფილმ „ფიფქიასა და შვიდ ჯუჯაში" ერთ-ერთი ჯუჯაა — ყველაზე ახალგაზრდა, წვერ-ულვაშის გარეშე, მწკრივში ბოლოს რომ მიდის.

და კიდევ ერთი შტრიხი ბრაზილიელთა პორტრეტისთვის: დუნგა ხომ ისედაც, კარლოს კაეტანო ბლედორნ ვერის მეტსახელია და მეტსახელს კიდევ მეტსახელი მოუგონეს.

პაპუნა კედია

ხარივითაა, ხარივით!

ქამბროტა კანავაროზე უფრო ხარია

„იუვენტუსის" ექსფეხბურთელები ესპანეთში დაიფანტნენ და მომავალ სეზონში იქაური გრანდების — „ბარსელონას" და „რეალის" ღირსებას დაიცავენ.

ორშაბათს ლილიან ტურამმა „ბარსას" სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. ფრანგი მცველი, რომლის შეძენაც კატალონიელებს 5 მილიონი ევრო დაუჯდათ, საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა ბარსელონაში. იქამდე სამხრეთ აფრიკაში გახლდათ არდადეგებზე. „ძალიან მიხარია „ბარსაში თამაშის დაწყება. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მოვლენაა, რაც ჩემს ცხოვრებაში შეიძლებოდა მომხდარიყო" — დარბაისლურად აღნიშნა პროფესორივით სათვალიანმა ტურამმა ჟურნალისტებთან.

ყოფილი იუვენტუსელი მომავალ ორ სეზონს გაატარებს „კამპ ნოუზე" და საზღაურად 6 მილიონი ევრო ექნება წელიწადში. ლილიან ტურამი 1 აგვისტოს შეუერთდება „ბარსელონას", როცა ფრანკ რაიკარდის გუნდი მექსიკაში წავა „სეზონათაშორისის ტურნეზე.

„რეალში" კი გუშინ ფაბიო კანავარო წარადგინეს მადრიდული გრანდის ოფიციალურ წევრად. „იუვეს" ძველმა მოთამაშემ სამედიცინო შემოწმებისას მადრიდელი ექიმები გადარია — „ხარივითაა კანავარო, საოცარი ჯანის პატრონია და „რეალში" თამაში მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს" — ამბობდა ალფონსო დელ კორალი, „რეალის" მთავარი ექიმი. კანავარომ კი გასინჯვის შემდეგ **DOLCE GABANNA**-ს ძაღლიანში წაყვანა ითხოვა და იქ გემოენებით შეარჩია ტანსაცმელი, რომლითაც ოფიციალურ პრეზენტაციაზე უნდა გამოჩენილიყო. „ბერნაბეუზე" უამრავი ხალხი შეიკრიბა იტალიელის სანახავად. იქ გახლდათ ალფრედო დი სტეფანოც, რომელმაც საკუთარი ხელით გადასცა ფაბიოს სამეფო თეთრების ზიდანისეული, ხუთნომრიანი მაისურა. სამი სეზონის განმავლობაში კანავარო ამ „აბჯარში" დარჩება.

კიდევ ერთ ტურინელს, ჯანლუკა ძამბროტას „ბარსას" სამედიცინო შემოწმება არ გაუვლია. იტალიელმ. ზუნდიალზე დაბდღვნა ყველაფერ. და კატალონიელი ექიმები უყოყანოდ მიენდნენ, ამას არანაირი პრობლემა არ ექნებაო. ძამბროტა იტალონიურმა მთავარგუნდმა 14 მილიონად იყიდა და პრიმერადვიზიონში დარჩენაც კონტრაქტით 4 სეზონით მოუწევს.

„ბარსელონას" ძველმა მოთამაშემ, ოლეგერმა კი, 2010 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება. მისი კონტრაქტის გაუქმება ამიერიდან 60 მილიონი ევრო ეღირება და არა 30 მილიონი, როგორც ადრე იყო...

ლადო ხომერიკი

რონალდოს ვერ დაასწრებ

რონალდო ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად კარლოს დუნგას დანიშვნას პირველი, თან დიდის ამბით მიესალმა. კიჭას აზრით, მის ყოფილ თანაგუნდელს საოცრად მტკიცე ნებისყოფა აქვს, რაც ფეხბურთის ცოდნასთან ერთად ეროვნული გუნდის მართვაში დაეხმარება.

„რეალის" ფორვარდი მუნდიალებზე დუნგას მხარდამხარ გატარებულ პერიოდს (1994-98) სიამოვნებით იხსენებს. „დუნგასთან ერთად 1994 წელს ამერიკაში ჩემს პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავი. მერე, ოთხი წლის შემდეგ, ფრანგულ მუნდიალზე ვითამაშეთ. კაპიტან დუნგასგან ბევრი რამ ვისწავლე, ის საოცარი პიროვნებაა" — თქვა რონალდომ.

რეალელი კიჭა ბრაზილიაში მომავალი კვირის ბოლომდე დარჩება, შემდეგ კი მადრიდში ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით დაიწყებს ვარჯიშს.

რონალდო ახლა რიო დე ჟანეიროშია ფიზიოთერაპევტ ბრუნო მაციოტისთან. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა 15 ივლისს მარცხენა ფეხზე ოპერაცია გაიკეთა და მის ფორმაში ჩადგომას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება.

პენტაკამპეონთა ოღინდელი კაპიტანი დუნგა კი ამიერიდან ბრაზილიის მწვრთნელი იქნება. „იგი ფეხბურთელებოსას მოედანზე ნამდვილი ლიდერი იყო. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელობასაც თავს კარგად გაართმევს" — განაცხადა რონიმ ექსთანაგუნდელზე.

ლადო ხომერიკი

კვირის ბოლოს

პაველ ნედვედის აგენტი დაგვპირდა, რომ ამ კვირის ბოლომდე გადაჭრით გვეტყვის, დარჩება თუ არა მისი კლიენტი სკანდალებით ტანჯულ „იუვენტუსში". ამბობენ, რომ მას მერე, რაც გაირკვა, რომ „ბებერი ქალბატონი" ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ გამოვა, ჩეხს თვალი გაქცევისკენ უჭირავს. 34 წლის ნედვედი რამდენიმე ევროპული კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ამ კლუბებს შორის არიან ფრანგული „მონაკო" და ინგლისური „ტოტენჰემი".

აგენტი დავიდ ნეჰოდა: „ორშაბათს პაველი ტურინში ჩავიდა და „იუვენტუსთან" ერთად დაიწყო ვარჯიში, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას კვირის ბოლოს გვეტყვის."

პაპუნა კედია

ნეტავ როდის დამთავრდება?

პოემა ვან ნისტელროიზე

თუ მადრიდულ გაზეთებს დავუჯერებთ, რუუდ ვან ნისტელროი უკვე „რეალის" ფეხბურთელი ყოფილა, მაგრამ... „ბაიერნმა", „მანჩესტერ იუნაიტედს" ვან ნისტელროის სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო შესთავაზა. ბავარიელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი მზადაა, სატრანსფერო ოპერაციაში როი მაკაი ან კლაუდიო პიზარო ჩართოს" — ვკითხულობთ გუშინდელ „ბილდში".

ვან ნისტელროი „ოლდ ტრეფორდის" მწვრთნელ ფერგიუსონთან უბრად იყო და „მანჩესტერიდან" წასვლას აპირებდა. ჰოლანდიელის ხელში ჩასაგდებად უმთავრესად ორი ევროპული გრანდი იბრძვის, „რეალი" და „ბაიერნი". ესპანელები გერმანელებზე ნაკლებს სთავაზობენ „იუნაიტედს" — „რეალი" ნისტელროში 12 მილიონზე მეტს ვერ იმეტებს, თუმც „ასის" და „მარკას" ცნობით, ჰოლანდიელის მიზანია „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლა და არა „ალიანს არენაზე". „ფეხბურთელთან წინასწარი შეთანხმება „რეალმა" უკვე გააფორმა. „მანჩესტერიც" ტრანსფერს ხელს არ შეუშლის" — აცხადებდა „ასი". ამავე გაზეთში ნათქვაია, რომ კასტილიური გრანდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი რუუდ ვან ნისტელროის ხუთშაბათს ოფიციალურად წარადგენს „ბერნაბეუზე" „რეალის" ფეხბურთელად, თუკი ბავარიულ ჯეებირს დაძლევენ.

ლადო ხომერიკი

მედალს ცოლად არ გავყვები

მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე ისტორიაა, თუმც იმ დღეებში მომხდარ მოვლენებზე კარგა ხანს ილაპარაკებს საზოგადოება. ასე მაგალითად, იტალიურ პრესაში კვლავ გაჩნდა ცნობები „სკუადრა აძურას" მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონისა და მისი მშვენიერი საცოლის ამურული სანაძლეოს შესახებ...

ფინალური მატჩის წინ იტალიელთა დამრიგებელმა ლიპიმ შეგირდებს მცირე შესვენებისა და საკუთარი საქმეების მიხედვის უფლება მისცა. გოლკიპერმა ჯიჯიმაც თავის ტურფას მიაშურა, რასაკვირველია. ჰოდა, ვახშმის დროს დანიძლავებულან, რომ იტალიის გაჩემპიონების შემთხვევაში ალიონა სერედოვა ბუფონის მეუღლე უნდა გამხდარიყო. „სკუადრა აძურამ" ოქროს თასი მართლაც აიღო, ოღონდ ახლა ჩეხი მოდელია უარზე, ჯიჯის მარტო მედლის გულისთვის ხომ არ გავყვებიო...

„ბუფონმა მხოლოდ ოქროს მედლებისთვის რომ მთხოვოს ცოლობა, ალბათ, სიბრაზისგან ჭკუიდან შევიშლები. მან ეს სიყვარულის გამო უნდა გააკეთოს და არა იმიტომ რომ იტალიამ მუნდიალი მოიგო. მხოლოდ ერთი წელია ერთად ვართ, ჯიჯი კი გადაწყვეტილების მიღებას საშინლად ჩქარობს. დაფიქსირებისთვის კიდევ დრო მჭირდება. მით უმეტეს, როცა ბავშვების გაჩენას ეხება საქმე. ამისთვის ჯერ მზად არ ვარ" — განაცხადა კეკლუცმა მოდელმა.

ლადო ხომერიკი

ინტერისთვის ია ძვირია

იტალიური პრესის ცნობით, ლუკა ტონი რამდენიმე დღეში „ინტერის" ფეხბურთელი გახდება. მხარეებს უკვე მიულწევიათ შეთანხმებისთვის და ტრანსფერი ოფიციალურად კვირის ბოლოსთვის უნდა გაფორმდეს. ამბობენ, „ნეროაძური" „ფიორენტინას" 15 მილიონ გარვანქას გადაუხდის, ხოლო ტონისთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ხელფასად სეზონში 2,8 მილიონ გირვანქას დაუნიშნავსო.

ბოლო წლებში ტონი ბრწყინვალედ თამაშობს. „ბრეშასა" და „პალერმოს" ყოფილმა ფორვარდმა გასულ სეზონში „იების" მაისურით 31 გოლი შეაგდო და სერია A-ს ბომბარდირი გახდა. იგი მუნდიალზეც კარგად გაისარჯა და „ფიორენტინას" სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, მისი მსურველების რაოდენობა გაორმაგდა. თუმცა ფლორენციელები ყველანაირად ცდილობენ, ტონი შეინარჩუნონ.

როგორც იცით, „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ გადაჭრით თქვა, ტონის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და დავიდ ტრეზეგეს შორის ერთ-ეროს ვიყიდიო. „ნეროაძურის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი კი, თურმე ამ სამეულიდან ორს ითხოვს, რათა ისინი ადრიანოს შეუწყვილოს და ძლიერი თავდასხმის ხაზი შექმნას, რაც სკუდეტოსთვის ბრძოლას საგრძნობლად გაუადვილებს.

კოკი კანდელაკი

საეჭვო არაფერი დამინახავს



„მილანის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა მედიასთან ინტერვიუში კლუბის მისამართით გამოთქმული ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ სანქციათა მიუხედავად, მომავალი სეზონის დადგომას ოპტიმისტურად ელის: „მინდორზე არასდროს შემიმჩნევია, რომ მსაჯები ჩვენ გუნდს ჩაგრავდნენ ან პირიქით, „მილანის" სასარგებლოდ მოქმედებდნენ. ფედერაციამ გუნდი დასაჯა, თუმცა ჯერ ყველაფერი გარკვეული არ გახლავთ და ახალ სეზონსაც იმედით ველით."

ჰოლანდიელი 2006-07-ის სერია A-ში კვლავაც „მილანის" ღირსება დაიცავს, მაშინ, როცა, ესპანური მედიის ცნობით, მისი თანაგუნდელი კაკა „რეალში" აპირებს წასვლას. „კაკას რამდენჯერმე ველაპარაკე ამ თემაზე და მან მითხრა, რომ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. ვერ გეტყვით, ბრაზილიელი კლუბს დატოვებს თუ არა, თუმცა ის კი ვიცი, რომ „მილანი" ყველანაირად შეეცდება თავისი ვარსკვლავები „სან სიროზე" დატოვოს" — ამბობს „როსონერის" ნიდერლანდელი მეომარი.

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდი და ოლა

ფრანგული „ლიონი“ დავიდ ტრეზეგეს არ ეშვება. კლუბის მფლობელი ჟან-მიშელ ოლა ამბობს, რომ ტურინის „იუვენტუსის“ ვარსკვლავის ხელში ჩაგდებას ყველანაირად შეეცდება. თუმცა 28 წლის ფორვარდს სხვა მსურველებიც ჰყავს „რომას“ თამადობით: „გლადიატორები“ მზად არიან, 20 მილიონი ევრო გადაიხადონ.

„ლიონისთვის“ ტრეზეგეს ფასი და მისი ხელფასი საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ოლა გამოსავალს ეძებს. ერთ-ერთი ვარიანტი „მონაკოს“ ყოფილი ფორვარდის თხოვებაა, თუმცა ტრეზეგეს აგენტმა ცოტა ხნის წინ თქვა, ალბათ, „იუვენტუსი“ ჩემი კლიენტის განათხოვრებას არ დათანხმდება და ამით მაინცდამაინც დაინტერესებულნი არც ჩვენ ვართო, მაგრამ „ლიონში“ გადასვლის შესაძლებლობა არ გამოურიცხავს.

ჟან-მიშელ ოლა: „ამ რანგის მოთამაშე ძვირი არასდროს არ არის. დავიდი განსაკუთრებული ფეხბურთელია. მისი გუნდში ყოლა სეზონში 20-26 გარანტირებულ გოლს ნიშნავს, რაც შეუფასებელია. თუმცა ახლა რაიმე შეთანხმებაზე საუბარი ძალიან ადრეა. თანაც ჯერ ივლისი არ ამოწურულა, მოსალაპარაკებლად კი დრო აგვისტოს ბოლომდე გვაქვს.“

გიორგი ქაქაბაძე

ზლატანის აგენტი ჯამაგირზე წუწუნებს

ზლატან იბრაჰიმოვიჩის აგენტმა მინო რიოლამ აღნიშნა, რომ მისი კლიენტი „იუვენტუსს“ დატოვებს, თუ ტურინელები შვედთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებენ. 24 წლის ფორვარდს, პრიველ რიგში, ხელფასის გაზრდა სურს.

იბრაჰიმოვიჩმა გასული სეზონი პირწმინდად ჩააგდო. მან მხოლოდ 7 გოლი გაიტანა და მუნდიალზეც შვედეთის ნაკრების რიგებში ინერტული იყო. მიუხედავად ამისა, „ბებერი ქალბატონი“ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას 2010 წლამდე აპირებდა, მაგრამ კალჩოპოლის განაჩენმა და ძველი ხელმძღვანელობის წასვლამ ყველაფერი არია.

მინო რიოლა: „დარჩება თუ არა ზლატანი „იუვენტუსში“, ჯერ არ ვიცით. ამაზე არ გვილაპარაკია. მას მოსწონს ტურინში ცხოვრება და არც სერია B-ში თამაშია პრობლემა, თუმცა, ამ შემთხვევაში, ახალი, ბევრად გადასხვაფერებული კონტრაქტი უნდა გავაფორმოთ.“

„აიაქსის“ ექსფორვარდს აქტიურად უკავშირებენ „ინტერს“. ამბობენ, რიოლამ უკვე შეათანხმა კიდეც „ნეროაძურისთან“ იბრაჰიმოვიჩის პირადი კონტრაქტის დეტალები და ახლა საქმე „იუვენტუსზეაო“. მისით ასევე მადრიდის „რეალი“ და სხვა კლუბები არიან დაინტერესებულნი.

„საჭიროების შემთხვევაში, ახალი კლუბის პოვნა არ გაგვიჭირდება. შემოთავაზებები უკვე არის, თუმცა ჩვენი პოზიცია მარტივია — ყველაფერი „იუვენტუსის“ ხელშია“ — დასძინა რიოლამ.

გიორგი ქაქაბაძე

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

რა ფული მოგინდა?

გერმანულმა „შტუტგარტმა“ სერბი ლეგიონერი დანიელ ლიუბოია დასაჯა. „შვაბებმა“ 27 წლის თავდამსხმელი სამოყვარულო გუნდში გადაისროლეს, რომელიც რეგიონალლიგაში თამაშობს.

საქმე ის არის, რომ ლიუბოიამ ხელფასის გაორმაგება მოითხოვა, მაგრამ ეს „შტუტგარტთან“ ახალი სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების მერე რამდენიმე დღეში გააკეთა. ხელმძღვანელობაც სწორედ ამან განარისხა, თუ რამე სათქმელი ჰქონდა, აქამდე ეთქვაო.

ლიუბოია გასულ სეზონში პსჟ-ში იყო განათხოვრებული, მაგრამ ფრანგულმა კლუბმა მისი გამოსყიდვა აღარ ისურვა. ახლა, თუ აგვისტოს ბოლომდე სერბის მსურველი არ გამოჩნდა, თანაც ისეთი, რომ „შტუტგარტიც“ მოხიბლოს, მას მთელი სეზონის გერმანიის რეგიონალლიგაში გატარება მოუწევს.

„დანიელს ორშაბათამდე მივეცით დრო მოსაფიქრებლად. მისგან ასეთ საქციელს ნამდვილად არ ველოდით. კონტრაქტზე ხელი მოაწერა და პრეტენზიები მერე გამოთქვა“ — აღნიშნა „შტუტგარტის“ მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

კოკი კანდელაკი

ფეხში სიმსივნით

„ბაიერნის“ ფრანგმა მცველმა ვალერიან ისმაელმა განაცხადა, რომ ის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ფეხში სიმსივნით თამაშობდა. ეს ამბავი ისმაელმა ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტს უამბო:

„ცხადია, იყო რეალური შანსი იმისა, რომ ფეხში მომარტყამდნენ და დაავადება განვითარდებოდა, თუმცა მე პროფესიონალი გახლავართ და სეზონის განმავლობაში ოპერაციის დრო არ მქონდა.“

და კიდევ, ისმაელმა აღიარა, რომ ის მთელ[illegible] სეზონის განმავლობაში ძვალგა[illegible]არული დარბოდა.

„ძნელია, როდესაც ტკივილით იღვიძებ, [illegible]ჯიშობ და [illegible]იძინებ. საბოლოოდ ეს შენს გონებაზე მოქმედებს და საკუთარი ძალებისა აღარ გწამს.“ — დასძინა ფრანგმა.

პაპუნა კედია

ტევესი: მოკეტეთ!

გასულ უქმეებზე, ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა კარლოს ტევესმა თავისი ბრაზილიური კლუბის, „კორინთიანსის“ მაყურებელს შუა თამაშის დროს ჟესტით გაჩუმება უბრძანა, რისთვისაც ახლა ბოდიშს სთხოვენ. თუ ტევესი ბოდიშს არ მოიხდის, მაშინ „კორინთიანსის“ გულშემატკივართა ჯგუფის „გავიოეშ და ფიელის“ ანუ ერთგული ქორების ვიცე-პრეზიდენტი ვილდნერ როჩა მის საწინააღმდეგოდ ორგანიზებული აქციით იმუქრება.

„თუ ტევესი ფიქრობს, რომ ჩვენზე მაღლა დგას, მაშინ ჩვენგან პასუხად ორგანიზებულ კამპანიას მიიღებს და გარწმუნებთ, ისეთ ზეწოლას მოვუწყობთ, როგორსაც ვერავინ უძლებს. ფეხბურთელებმა კარგად არ იციან, ვინ ვართ ჩვენ“ — უთხრა როჩამ გაზეთ „ფოლიმ დე სან პაულუს.“

ხოლო ეპიზოდი, რომელმაც ეს კონფლიქტი გამოიწვია, ასეთი გახლდათ: „ტევესმა „ფორტალეზასთან“ შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა (2:2) და ზევით რომ მოგახსენეთ, ისეთი ჟესტით მოაწყო ზეიმი. მანამდე, თავიასიანების თამაშით გაღიზიანებულმა ქომაგებმა „ფორტალეზას“ მერე გოლს დაუკრეს ტაში...

ვილდნერ როჩა: „უპირველეს ყოვლისა, მან კეთილი ინებოს და „კორინთიანსის“ ფანებთან კი არ უნდა იკამათოს, არამედ ბურთის თამაშზე მოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე.“

ტევესი „კორინთიანსში“ 18 მილიონ დოლარად 2004 წლის დეკემბერში გადავიდა. ეს თანხა სამხრეთ ამერიკული ტრანსფერების ისტორიაში სარეკორდოა.



გუდის თარჯიმანი სილვინიო

„ბარსელონა“ სამზადისს დანიაში გაივლის. ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა იციან, რომ წინ რთული ბრძოლები ელით და ამიტომაც საქმეს გულდასმით უნდა მოეკიდონ — შინაურ პრიმერადივიზიონში ახალ-ახალი ვარსკვლავური ტრანსფერებით ხომ „რეალი“ ძლიერდება. დანიაში გამგზავრებამდე კატალონიელი ჟურნალისტები „ბარსელონას“ მცველ სილვინიოს გაესაუბრნენ. „მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა გვყავს და არანაირი მეტოქის არ გვეშინია“ — თქვა ბრაზილიელმა...

— ლა მასიას საწვრთნელ ბაზაზე სხვებზე უფრო ხშირად ეიდურ გუდიონსენს ესაუბრებოდათ. უკვე ძმაკაცობთ „ბარსას“ ახალწვეულ ისლანდიელთან?

— ჩვეულებრივად ველაპარაკები, ვიცი, უცხოელისთვის სხვა ქვეყანაში გატარებული პირველი დღეები რას ნიშნავს და ვცდილობთ, „გუდის“ მარტოობა არ გაუძნელდეს. თუმცა ისლანდიელს დიდი დახმარება არ სჭირდება, „ბარსას“ ადვილად შეეჩვია და ესპანურადაც უკვე საკმაოდ კარგად ლაპარაკობს... დარწმუნებული ვარ, ორ თვეში ენის მხრივ არანაირი პრობლემა აღარ ექნება.

— თქვენც, ლონდონის „არსენალში“ გადასვლისას უცხოეთში მარტო აღმოჩნდით...

— როცა ბრაზილიიდან ჩამოვედი, ინგლისურად ერთი სიტყვაც არ ვიცოდი. ახალდაქორწინებული ვიყავი, შვილები არ მყავდა და განსხვავებულ, უცხო ზნე-ჩვეულებების მქონე ხალხთან მიწევდა ურთიერთობა... თანდათანობით გარემოს ალღო ავუღე. ყოველთვის მემახსოვრება ის ადამიანები, ინგლისთან შეჩვევაში რომ დამეხმარნენ. მერე, რაც დრო გადის, ყველაფერ ამას განსაკუთრებულად უყურებ, გინდა, რომ ახლა შენ დაეხმარო ახალმოსულებს.

— ლეო მესისაც დაეხმარეთ, როცა ძირითად გუნდში თამაში დაიწყო?

— მესი ჩემნაირი ადამიანია, თუ ხეპრე არ ხარ, მასთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ შეგექმნება... მახსოვს, „ბარსაში“ ჩემს პირველ სეზონთაშორისის ტურნეში გუნდი იაპონიაში წავიდა. იქ ახალგაზრდული გუნდიდან მხოლოდ მესი გვახლდა. ძალიან დავმეგობრდით აზიაში...

— „ბარსელონამ“ ახლა ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი იყიდა. მათი მოსვლა „კამპ ნოუზე“ გიხარიათ, თუმცა ისინი კონკურენციას გაგიწევენ...

— ძალიან მიხარია ამ ფეხბურთელების მოსვლა, რადგან გულშემატკივრების წინაშე პასუხისმგებლობას ერთნაირად ვინაწილებთ. იმ დონის შენარჩუნება, რაც გასულ სეზონში გვქონდა, ადვილი საქმე არ არის. ხალხი კი მაინც ყველა ტიტულის მოგებას გვთხოვს... ძამბროტა და ტურამი კლუბს გაძლიერებენ, ამ ტრანსფერებით ყველა კმაყოფილი დავრჩით. თუ კონკურენცია იქნება, მით უკეთესი, რაიკარდს მეტი არჩევანი ექნება, მოედანზე საჭირო ფეხბურთელი რომ გამოიყენოს.

— „ბარსელონას“ დღეს ევროპაში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს?

— მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა გვყავს და არანაირი მეტოქის არ გვეშინია, თუმცა ამის გამო ტიტულებს პირდაპირ არ ჩაგვაბარებენ... მოწინააღმდეგეებს კი ვურჩევ, ფრთხილად იყვნენ, თანამედროვე „ბარსელონასგან“ ორი ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა შეიძლება.

— ამ შემადგენლობით შარშანდელი სეზონის მიღწევათა გაუმჯობესებასაც მოახერხებთ?

— რა თქმა უნდა, მოვახერხებთ, მაგრამ ძნელი იქნება. თანდათანობით უნდა დავიწყოთ — ჯერ ესპანეთის სუპერთასი, მერე ევროპისა... შემდეგ კი პრიმერადივიზიონის თამაშებიც დაიწყება. ესპანეთის ჩემპიონატს თავიდანვე უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც ეს სხვა ტურნირებზე მონაწილეობას გაგვიადვილებს. კოპა დელ რეიზე და ჩემპიონთა ლიგაში რომ წარმატებები გვქონდეს, ამისთვის პრიმერადივიზიონში კარგი თამაშია საჭირო.

რომანის ზარალი

რომან აბრამოვიჩი მილიარდერი კია, მაგრამ „ჩელსის“ უფროსობით ის ფულს კარგავს და არა შოულობს.

მაგალითად, „ჩელსიმ“ ორჯერ მეტი ფული იზარალა, ვიდრე „არსენალმა“ დახარჯა.

აი, ეს როგორ ხდება: ახლახან „ჩელსიმ“ მცველი ასიერ დელ ორნო მიჰყიდა „ვალენსიას“ 4,8 მილიონ გირვანქად. იმავე ფეხბურთელში კი 13 თვის წინათ 8 მილიონი გადაუხადა ბილბაოს „ატლეტიკს“.

ანდა, დემიენ დაფი, რომელიც წინა კვირაში „ნიუკასლს“ 5 მილიონ გირვანქად მისცეს, არადა, სამი წლის წინ 17 მილიონად შეიძინეს „ბლექბერნისგან.“

აღარაფერია სათქმელი ხუან ვერონისა და ადრიან მუტუს ტრანსფერებზე. ამ უკანასკნელში „ჩელსიმ“ 16,8 მილიონი გირვანქა გადაუხადა „პარმას“ და მერე ფეხბურთელი საერთოდ გააძევა კოკაინის ყნოსვისთვის. 15 მილიონად ნაყიდი ვერონი კი აბრამოვიჩმა დიდსულოვნად გაუშვა „ინტერში“. ჯამში „ჩელსის“ ზარალი ყიდვა-გაყიდვისგან 53,6 მილიონ გირვანქას შეადგენს.

ირაკლი გამყრელიძე

რუნი მოიესს იხსენებს



უეინ რუნიმ ახლაღა დაიწყო იმის თხრობა, თუ რატომ წამოვიდა „ევერტონიდან“ ორი წლის წინათ: „ოღონდ მოიესს გამოვრიდებოდი და „მანჩესტერში“ კი არა, სად არ წავიდოდი.“

ასე წერია რუნის ახალ წიგნში, რომელშიც ფეხბურთელი ამბობს, რომ „ევერტონის“ მენეჯერი ვერაფრით ეგუებოდა მის მზარდ სტატუსს და თანდათან წარმოშობილ ვარსკვლავის სახელს.

როცა „მანჩესტერში“ გადასვლა გადაწყდა, რუნის ვარჯიშზევე უთქვამს მოიესისთვის, შენს გუნდში აღარ ვითამაშებო.

საკვირველი კი ის ყოფილა, რომ რუნის წასვლით გულდაწყვეტილი იყო ერთადერთი კაცი, სწორედ, მოიესი. „თუმცა, მან იცოდა, რომ გუნდში, უბრალოდ, ველარ დაეტეოდი“ — თქვა რუნიმ.

ამასობაში კი, რამდენიმე დღეა, პოლიცია ეძებს ქურდებს, რომლებმაც უეინ რუნის მშობლების სახლი გატეხეს, ძვირფასი ნივთები გაიტაცეს და ხელს რუნის წლევანდელი, მსოფლიო თასზე და ასოციაციის თასის ფინალში ნაცვამი მაისურებიც ხელს გააყოლეს.

ძარცვა ლივერპულში შაბათ საღამოს მოხდა: წაიღეს აგრეთვე სანაკრებო კეპები და ბი-ბი-სის „წლის კაცის“ პრიზი.

რუნები დასასვენებლად ყოფილიყვნენ, გაზეთმა „სანმა“ კი 1000 ფუნტიანი ჯილდო დააწესა იმათთვის, ვინც რუნის მაისურებსა და პრიზს დააბრუნებს.

ირაკლი გამყრელიძე

ბექემიანთ იახტაზე



ხოო, ისვენებს დევიდ ბექემი: იახტა, მზე, ზღვა...

ადგილი: პორტოფინო, განთქმული იტალიური კურორტი.

იახტაზე ვიქტორიაც იმყოფება, ოღონდაც ეს ხელს არ უშლის იტალიელ ლამაზმანებს, იახტასთან მიცურდნენ და წყალშივე ჩამოართვან ავტოგრაფები ბექემს.

ახალი ამბებიდან ერთი ჭორი ისაა, რომ ბექემიანთ ჰოლივუდში ნდომებიათ სახლის ყიდვა. ეს ვიქტორიას სურვილი ყოფილა. ასე რომ, თუნდ ასმა გოგომ მიცუროს იახტასთან, მესაჭის სახელი ცნობილია.

ირაკლი გამყრელიძე

მაკარტი ძმებს ეყრება

სამხრეთაფრიკელი ფორვარდი ბენი მაკარტი ინგლისურ „ბლექბერნში“ გადადის. ბრიტანული პრესის ცნობით, „ივუდ პარკის“ ბინადრები „პორტუს“ 2,5 მილიონ ევროს გადაუხდიან, ხოლო 28 წლის ფეხბურთელთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

„ძალიან ცუდია, რომ უამრავი მეგობრის, ძმების დატოვება მიწევს. „პორტუში“ დიდ წარმატებას მივაღწიე და ბევრი მოგონება დამრჩება. მიჭირს ამ კლუბის დატოვება, მაგრამ პრემიერლიგაში თამაში ჩემი ოცნებაა“ — თქვა მაკარტიმ.

აფრიკელი სამედიცინო შემოწებას გაივლის და მედიას „ბლექბერნის“ ფეხბურთელად ოფიციალურად, ალბათ, დღეს საღამოს წარუდგება. მას ინგლისში თამაში დიდი ხანია სურს, მაგრამ „პორტუ“ აქამდე წასვლის ნებას არ აძლევდა.

შეგახსენებთ, რომ მაკარტი „პორტუში“ 2003 წელს ვიგოს „სელტადან“ გადავიდა: იგი პირველსავე სეზონში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და პორტუგალიელების ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

ძოკი ძანდელაძი

აეროპორტში ნათქვამი
ტორესი ფეხით მადრიდს მიეფეება

პორტუგალიელი კოშტინია ორშაბათს გვიან ღამით ჩავიდა მადრიდში და გუშინ უკვე თავის ახალ თანაკლუბელებს, მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებს შეხვდა. ლუზიტანი ნახევარმცველი „ატლეტიკოს“ ერთ-ერთი ახალი შენამატია.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კარიერას ამ კლუბში გავაგრძელებ. ჩემი მიზანია „ატლეტიკო“ ესპანეთის სატურნირო ცხრილში ლიდერთა შორის იყოს. ამას კი დიდი შრომის ფასად თუ მივაღწევთ“ — განაცხადა კოშტინიამ მადრიდის ბარახას აეროპორტში.

პორტუგალიელს „ათლეტთა“ ფეხბურთელად ოფიციალურად ჯერ არ წარადგენენ. მანამდე გუნდმა გერმანიაში და ჩინეთში ტურნეები უნდა გამართოს. მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ტურნეში მყოფ „ატლეტიკოს“ მოგვიანებით შეუერთდება, რადგანაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის შემდეგ ისვენებს.

„ჩემი ახალი თანაგუნდელებიდან მხოლოდ სეიტარიდისს ვიცნობ, მაგრამ სხვების თამაში მინახავს და ვიცი, როგორი პროფესიონალებიც არიან“ — ამბობს კოშტინია. ფეხბურთელს სურს, რაც შეიძლება, მალე დაიწყოს ვარჯიში: „ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ „ატლეტიკოსთან“ ერთად ვარჯიშს. ამ კლუბში დიდი პორტუგალიელები თამაშობდნენ წარმატებით — პაულო ფუტრე და უგო ლეალი — თავის შერცხვენას არც მე ვაპირებ“ — განუცხადა ლუზიტანმა ჟურნალისტებს. კოშტინიას ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად პიტერ ლუქსენთან და გაბისთან მოუწევს კონკურენცია. „ატლეტიკო“ კი ნახევარდაცვის გასაძლიერებლად მეორე პორტუგალიელის, მანიშეს ყიდვასაც გეგმავს.


კოშტინია


ფერნანდო ტორესი

„ვისენტე კალდერონის“ სხვა ამბებიდან ფერნანდო ტორესის მტკიცე განცხადებაა აღსანიშნავი.

„მე მადრიდში ვრჩები და არსად არ მივდივარ. ვიცი, რომ ჩემი შეძენით ბევრი კლუბია დაინტერესებული, თუმცა „ატლეტიკოდან“ ფეხსაც არ მოვიცვლი“ — თქვა „ელ ნინიომ“.

შეგახსენებთ, რომ ტორესის მოსურნე ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედია“.

ლადო ხომერიკი

სლავენ ბილიჩი

ხორვატია როკს დაუკრავს

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელად 37 წლის სლავენ ბილიჩი დაასახელა.

ბილიჩი, რომელიც ბოლო დროს 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცად მუშაობდა, გეხსომებათ როგორც ხორვატთა იმ გუნდის მცველი, რომელმაც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა. მოგეხსენებათ, ბილიჩის წინამორბედი იყო ზლატკო კრანჩარი. კრანჩარის ხელმძღვანელობით ხორვატებმა ახლანდელ მუნდიალზე ჯგუფური ეტაპიდან ვერ გააღწიეს და მწვრთნელის თანამდებობაც ამას ემსხვერპლა.

რაც შეეხება ბილიჩს, მან ფეხბურთელის კარიერა მშობლიურ სპლიტის „ჰაიდუკში“ დაიწყო, საიდანაც 1993 წელს 1 მილიონ 400 ათასი დოლარის სანაცვლოდ „კარლსრუეში“ გაყიდეს. 1996 წელს „კარლსრუემ“ ბილიჩი 3 მილიონ დოლარად ინგლისურ „ვესტ ჰემს“ მიჰყიდა, ხოლო ინგლისურ პრემიერლიგაში ნაჩვენებმა საუცხოო თამაშმა მცველს ხორვატიის ნაკრებისკენაც გაუკვალა გზა — ბილიჩი ევრო 1996-ზე წაიყვანეს.

ევროპის პირველობაზე ხორვატი მცველი ძალიან მოეწონა „ევერტონის“ ხელმძღვანელობას, რომელმაც დაახლოებით 8,5 მილიონი დოლარის გაღება დააპირა მის შესაძენად, მაგრამ ბილიჩმა „ვესტ ჰემისადმი“ ერთგულების ფიცი თქვა და ლინდონიდან ფეხი არ მოიცვალა. როგორც ინგლისურმა პრესამ მოგვიანებით დაადგინა, „ერთგულების ფიცში“ მისთვის 400 ათასი დოლარი გადაუხდიათ, თუმცა ფიცმა მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო და ხორვატი მერე მაინც „ევერტონში“ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ „ევერტონში“ ბილიჩმა ვერ ივარგა, უმალ უხეშობდა ვიდრე გუნდს ოსტატობის წყალობით იცავდა, თუმცა 1998 წლის მესამე სამუნდიალო ადგილმა დიდი რეკლამა გაუკეთა. სხვათაშორის, სწორედ ბილიჩი გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელმაც ნახევარფინალში ფრანგ ლორან ბლანთან კონტაქტი გააფორმა, სამფეროვანთა კაპიტანი მოედნიდან გააძევებინა და ფინალი გამოატოვებინა.

ამის შემდეგ მრავალმა ტრავმამ ბილიჩის კარიერა დასასრულისკენ წაიყვანა, თუმცა მან, როგორც მოხერხებულმა ადამიანმა შეძლო, „ევერტონთან“ კონტრაქტი ისე შეენარჩუნებინა, რომ ინგლისურ გუნდში აღარ დარჩენილიყო. მოკლედ, ბილიჩი ზაგრებში ცხოვრობდა და ლივერპულიდან კვირაში 27 ათას გირვანქას იღებდა მთელი წლის განმავლობაში. საბოლოოდ „ევერტონმა“ ხორვატთა ახალი მწვრთნელი 1 მილიონ გირვანქად მოიშორა თავიდან.

სლავენ ბილიჩი სრულყოფილად ფლობს გერმანულს, ინგლისურს და იტალიურს. არის სამართლის სპეციალისტი და უკრავს როკ-ჯგუფში.

პაპუნა კედია

ვინც არ უნდა მთხოვოს

დადო პრსო მუხლის ტრავმის გამო სანაკრებო კარიერა დასრულა.

„ეს გადაწყვეტილი ამბავია — თქვა ხორვატმა — უკვე მოვახსენე ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლატკო მარკოვიჩს. დიდხანს ვფიქრობდი და ექიმებს რჩევა ვკითხე. ყველაფერი რომ შევაჯამე, მივხვდი — ასეთი მუხლით კლუბშიც და ნაკრებშიც მაღალ დონეზე თამაში გამიჭირდება, ამიტომაც მივდივარ ნაკრებიდან“.

აღსანიშნავია, რომ დადო პრსო 28 წლის იყო, როცა ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი შედგა. 32 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

„ვინც არ უნდა მთხოვოს დაბრუნება, თუნდაც ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, უარს ვეტყვი. ჩვენ ბავშვები არ ვართ. გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ შევცვლი“ — ბრძანა ხორვატმა.

პაპუნა კედია

კალჩოპოლიმ თურქეთში გადაინაცვლა

იტალიური სკანდალის მსგავსი აგორდა თურქეთშიც. „დენიზლისფორი“ მატჩის ჩაწყობაშია ეჭვმიტანილი, კერძოდ კი საქმე ასე იყო: იმისათვის რომ „დენიზლი“ უმაღლესი ლიგიდან არ გავარდნილიყო, წინა სეზონის ბოლო ტურში „გაზიანთეფსპორს“ „მალათიასპორისთვის“ უნდა მოეგო. დენიზლელებმა მალათიელთა სამ ჩეხ ფეხბურთელს ქრთამი მისცეს მატჩის დასათმობად. ასეც მოხდა — „მალათიამ“ წააგო 0:1 და „დენიზლი“ უმაღლეს დივიზიონში დარჩა.

ჩეხი ფეხბურთელები კი არიან: ირჟი ჰომოლა, რომელიც ახლა პრაღის „სპარტაშია“, ირჟი მაშეკი — ამჟამად „ტიროლშია“ და ზდენეკ შენფერიკი („მალათიაში“ დარჩა). სამივე მოთამაშე ბრალდებას უარყოფს. საქმეში სახელმწიფო ჩაერია, დენიზლელი პროკურორი გამოძიებას იწყებს, ხოლო ფედერაციის მხრიდან გამოძიების შეფად ლევანტ ბიჩაქჩი დანიშნეს — ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი.

რომან თურქია

ფეხბურთის რუკასთან

პარაგვაელი ნახევარმცველი კარლოს პარედესი „პორტუდან“ ლისაბონის „სპორტინგში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფინანსური მხარე უცნობია.

ფრანგულმა „სოშომ“ დანიური „კოპენჰაგენიდან“ ბრაზილიელი ფორვარდი ალვარო სანტოსი შეიძინა. სანტოსი, რომელმაც სამ სეზონში 120 მატჩი ითამაშა და 50 გოლი გაიტანა, საფრანგეთში 1 აგვისტოს ჩავა, მას შემდეგ რაც „კოპენჰაგენი“ ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო შეხვედრაში „მიუპას“ ეთამაშება. „სოშო“, სანტოსის გარდა „სოსიედადიდან“ ჟერემი ბრეშეს ყიდვასაც აპირებს.

კოლუმბიელმა ფორვარდმა დიეგო მაურისიო მორენო გალინდომ ზაგრების „დინამოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 20 წლის გალინდო კოლუმბიის „ონსე კალდასში“ თამაშობდა და მის სანაცვლოდ მილიონ 200 ათასი ევრო გადაიხადეს.

ბერძნულმა „არისმა“ ბრაზილიელი მეკარე ალეშანდრე ნეგრი იყიდა და ერთწლიან კონტრაქტზე მოურიგდა. უცნობია, თუ რამდენი გადაუხადეს ბერძნებმა ნეგრის კლუბ „ფორტალეზას“. ბრაზილიელს „ფორტალეზამდე“ რუმინულ „უნივერსიტატეაში“, „აიაჩოში“ და „პონტე პრეტაში“ უთამაშია.

მექსიკური „ტიგრესის“ ბრაზილიელი მცველი ჟულიო სეზარი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გადავიდა. სეზარი წელიწადში ერთ მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ იგი „ტიგრესამდე“, მადრიდის „რეალში“, „მილანში“ „ბენფიკაში“ და „ბოლტონში“ თამაშობდა.

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

იოსტერსი 2:2 გაის

ჰამარბი	10	7	2	1	19:10	23
აიკ	11	6	3	2	21:12	21
იურგორდენი	11	5	4	2	13:8	19
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
მალმიო	11	5	3	3	17:13	18
კალმარი	10	5	2	3	15:9	17
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
გეფლე	11	4	3	4	12:15	15
გაის	11	3	4	4	11:14	13
ჰელსინგბორგი	11	2	5	4	14:16	11
ჰეკენი	11	2	4	5	12:15	10
ჰალმსტადი	11	1	5	5	4:12	8
იოსტერსი	11	1	3	7	6:21	6
იორგრიტე	11	0	4	7	8:18	4

ნორვეგია

ტიპელიგა. XIV ტური

სტაბეკი 3:1 ტრომსიო

ბრანი	13	8	4	1	21:11	28
სტაბეკი	14	5	7	2	22:14	22
ლილესტრიომი	12	6	4	2	21:14	22
რუსენბორგი	14	5	6	3	19:15	21
ოდგრენლანდი	14	4	7	3	18:15	19
ვოლერენგა	14	5	4	5	17:15	19
ჰამ კამი	14	5	3	6	21:18	18
ლინი	13	5	3	5	13:15	18
სანდეფიორდი	14	5	3	6	18:23	18
მიოლდე	14	5	2	7	17:22	17
ფრედრიკსტადი	14	4	4	6	18:24	16
სტარტი	14	3	6	5	12:17	15
ვიკინგი	14	3	5	6	11:16	14
ტრომსიო	14	2	4	8	12:21	10

სარბიელი და კრიკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		29 ივლისი						
15:30	1	სელტიკი-კილმარნოკი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
18:00	2	დანდი იუნაიტედ-ფოლკირკი	2.00	3.10	3.45	1.21	1.26	1.63
18:00	3	დანფერმლაინი-ჰართსი	4.50	3.80	1.55	2.06	1.15	1.10
18:00	4	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:00	5	ინვერნესი-სტ.მირენი	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
		30 ივლისი						
17:00	6	მოზერუელი-რეინჯერსი	6.50	3.60	1.42	2.31	1.16	1.01
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		26 ივლისი						
21:30	7	რიდი-ტიროლი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
		29 ივლისი						
21:30	8	აუსტრია-ზალცბურგი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
21:30	9	გრაცერი-პაშინგი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
21:30	10	მატერსბურგი-შტურმი	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
21:30	11	რიდი-რაპიდი	2.50	3.00	2.55	1.36	1.26	1.37
		30 ივლისი						
21:30	12	ალტახი-ტიროლი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:45	13	აარაუ-სიონი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:45	14	ერასჰოპერი-თუნი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:45	15	შაფჰაუზენი-ციურიხი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
		30 ივლისი						
18:00	16	სტ.გალენი-ბაზელი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
18:00	17	იანგ ბოიზი-ლუცერნი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:00	27	ისტრი-ბასტია	2.50	2.70	2.85	1.29	1.33	1.38
22:00	28	ლე ავრი-ამიენი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
22:00	29	რეიმსი-ბრესტი	2.20	2.80	3.20	1.23	1.30	1.49
22:00	30	სტრასბური-დიუონი	1.75	3.00	4.50	1.10	1.25	1.79
22:00	31	აიაჩო-ნიორი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
22:00	32	კაენი-ლიბოურნე	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
22:00	33	შატორუ-ტოურსი	1.80	3.00	4.10	1.12	1.25	1.73
22:00	34	კრეტეი-გენვამი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
22:00	35	გრენობლი-მონპელიე	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
		29 ივლისი						
19:30	36	გენიონი-მეცი	2.75	2.70	2.60	1.36	1.33	1.32
		ბელგია. I დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:30	37	ბრიუგე-გენტი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
		29 ივლისი						
22:00	38	შარლერუა-ლიერსი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
22:00	39	ბრიუსელი-მონსი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:00	40	გენკი-ვარეგემი	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
22:00	41	ბეერსხოტი-ბევერენი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
22:00	43	მუსრონი-სერკლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		30 ივლისი						
20:00	42	ლოკერენი-სტანდარდი	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
22:30	44	სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი	3.75	3.40	1.75	1.78	1.19	1.15
22:30	45	ვესტერლო-რუზელარე	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
		რუსეთი						
		26 ივლისი						
19:00	46	რუბინი-შინიკი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ჩეხეთი						
		29 ივლისი						
19:00	63	სპარტა-კლადნო	1.25	5.10	8.00	1.00	1.08	3.11
21:00	64	ბოლესლავი-სიგმა	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
21:00	65	ზლინი-სლოვაცკო	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
		30 ივლისი						
19:00	66	პრეიბრამი-პლზენი	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
19:00	67	იაბლონეცი-მოსტი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:00	68	ტეპლიცე-ბრნო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
22:15	69	ბუდეიოვიცე-ლიბერეცი	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
		31 ივლისი						
19:15	70	ბანიკი-სლავია	2.50	2.70	2.75	1.29	1.30	1.36
		დანია						
		სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:00	88	ოდენსე-ესბიერგი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
		30 ივლისი						
17:00	89	ოლბორგი-ვეიერე	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
17:00	90	ჰორსენსი-ვიბორგი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
17:00	91	ნორდსიელანდი-სილკბორგი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
20:00	92	მიდტიულანდი-ბრიონდბიუ	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		29 ივლისი						
21:00	101	ოდ ვერენლანდი-ვოლერენგა	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
		30 ივლისი						
20:00	102	სანდეფიორდი-სტაბეკი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
20:00	103	ტრომსიო-მოლდე	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
20:00	104	ვიკინგი-ჰამარი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
20:00	105	ბრანი-ფრედრიკსტადი	1.50	3.80	5.80	1.07	1.19	2.29
22:00	106	რუსენბორგი-ლილესტრიომი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
		31 ივლისი						
21:00	107	ლინი-სტარტი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ფინეთი						
		27 ივლისი						
19:30	135	ტამპერე-ინტერი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იაპონია						
		26 ივლისი						
14:00	148	ნიიგატა-კაშიმა	2.55	3.10	2.50	1.39	1.26	1.38
14:00	149	ჩერეძო-ტოკიო	2.60	3.10	2.45	1.41	1.26	1.36
14:00	150	ფუკუოკა-შიმიცუ	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
14:00	151	ივატა-იოკოჰამა	2.15	3.10	2.95	1.26	1.24	1.51
14:00	152	კავასაკი-გამბა	2.35	3.10	2.60	1.33	1.23	1.41
14:00	153	კუიტო-იჩიჰარა	2.85	3.00	2.25	1.46	1.25	1.28
14:00	154	ნაგოია-ომია	2.40	3.00	2.60	1.33	1.24	1.39
14:00	155	ჰიროსიმა-კოფუ	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
14:00	156	ურავა-ოიტა	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
		აშშ						
		26 ივლისი						
23:45	166	სოლტ ლეიკი-ჩივასი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
23:45	167	კოლორადო-ჰიუსტონი	2.30	2.90	2.95	1.28	1.29	1.46
		ჩილე						
		26 ივლისი						
23:45	183	კოლო კოლო-ჰიგინსი	1.25	4.80	8.50	1.00	1.08	3.06
		ჩემპიონთა ლიგა						
		26 ივლისი						
21:00	356	შროკი ტრაპლისარგი მ	6.00	3.60	1.50	2.25	1.20	1.05
22:30	357	ჰაფნარფიორდური-ლეგია	4.10	3.30	1.75	1.82	1.22	1.14
21:00	358	მეტალურგი ლ-დინამო კ	6.80	3.60	1.45	2.35	1.19	1.03
22:00	359	ფენერბაჰჩე-ბ 36 ტორშავნი	1.05	7.50	20.00	1.00	1.00	5.45
22:00	360	იურგორდენი-რუუმბეროკი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
22:00	361	გორიცა-სტიაუა	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
22:15	362	ციურიხი-ზალცბურგი	2.15	3.20	2.95	1.28	1.24	1.53
22:45	363	დებრეცენი-რაბოტნიჩკი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
22:45	364	კორკი ს-ცრვენა ზვეზდა	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
22:45	365	ბოლესლავი-ვოლერენგა	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
22:45	366	კოპენჰაგენი-მიუპა	1.30	4.20	9.00	1.00	1.13	2.86
22:45	367	ჰართსი-შიროკი ბრიეკი	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
		უეფას თასი						
		27 ივლისი						
17:00	193	ტობოლი-ბახელი	6.00	4.00	1.40	2.40	1.13	1.03
17:30	194	კაირატი-ვიდეოტონი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
19:00	195	სკონტო-იენესი	1.12	7.00	10.50	1.00	1.01	4.19
19:00	196	სუდუვა-რილი	1.40	3.90	6.30	1.03	1.14	2.40
19:00	197	ტირანა-ვარტეკსი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
19:00	198	ყარაბახი-ზიმბრუ	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:30	199	დინამო(მინსკი)-ზაგლებე	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:45	200	ფლორა-ლინი	3.60	3.30	1.85	1.72	1.22	1.18
20:00	201	ნისტრუ-ბატე	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
20:00	202	ჰაკა-ლევადია	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.81
20:00	203	ეტცელა-ატლეტიდაბერგი	6.00	3.90	1.40	2.36	1.18	1.05
20:00	205	სლიემა-რაპიდი(ბ)	7.00	5.00	1.27	2.91	1.07	1.01
21:00	206	ომონია-რიეკა	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
21:00	207	ცსკა(ბულ)-დინამო(ტირანა)	1.17	5.50	11.00	1.00	1.05	3.66
21:00	208	გოტა-ვენტსპილსი	4.50	3.70	1.55	2.03	1.15	1.09
21:00	209	სტარტი-სკალა	1.07	7.50	12.00	1.00	1.00	4.61
21:00	210	კაუნასი-პორტადავნი	1.20	5.40	8.50	1.00	1.05	3.30
21:00	211	ტრნავა-ქარვანი	1.25	5.00	7.50	1.00	1.07	3.00
21:30	212	ბრანი-გლენტორანი	1.18	5.00	11.00	1.00	1.06	3.43
21:30	213	იანგ ბოიზი-მიკა	1.10	7.00	12.50	1.00	1.01	4.48
21:30	214	ვაღუცი-უიპეშტი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:45	215	ლიტექსი-კოპერი	1.40	4.20	5.80	1.04	1.12	2.43
22:00	216	რუჩელარე-ვარდარი	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
22:15	217	დიმეალე-ორასიე	1.30	4.70	7.00	1.01	1.09	2.81
22:00	218	ვდინამო(ბუქ)-ჰიბერნიანსი	1.06	7.00	18.00	1.00	1.00	5.03
21:30	219	ჰაკადონიალკომბეკი(ბულ)	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
22:30	220	ლანელი-გეფლე	3.80	3.40	1.70	1.79	1.17	1.13
22:30	221	დერი-გიოტებორგი	3.55	3.30	1.80	1.71	1.19	1.16
22:45	222	დროგედა-ჰელსინკი	2.70	3.10	2.30	1.44	1.24	1.32
23:00	223	მურატა-აპოელი ნ	6.00	4.10	1.40	2.43	1.13	1.04
23:15	224	ვალური-ბრონდბიუ	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
22:00	225	აკრანესი-რანდერსი	2.50	3.10	2.40	1.38	1.22	1.35
		ეჩ. (19)						
		პოლონეთი						
		26 ივლისი						
17:30	387	ესპანეთი(19)ავსტრია(19)	1.40	3.80	6.30	1.02	1.14	2.37
20:30	388	ჩეხეთ(19)-შოტლანდია(19)	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
		შვედეთი. თასი						
		26 ივლისი						
21:00	338	ვისბი -კალმარი	8.50	4.40	1.30	2.89	1.12	1.00
		27 ივლისი						
21:00	337	ჰელსინბორგი-დეგერფორსი	1.35	4.10	7.00	1.01	1.13	2.58
		ბრაზილიის თასი						
		26 ივლისი						
23:45	339	ვასკუ და გამა-ფლამენგო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ლიბერტადორესის თასი						
		26 ივლისი						
23:45	389	გვადალახარა-სან პაულუ	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
		27 ივლისი						
23:45	390	ლიბერტადორესი-ინტერნაციონალი	2.00	3.30	3.15	1.24	1.22	1.61

გაიხსნა ჯროპოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

ფორმულა 1. 28 ივლისი. გერმანია

13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ალბერსი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული სპიდი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული კლიენი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული რ.შუმახერი 20.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული მონტეირო 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული კულტხარდი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული მ.შუმახერი 1.70
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ალონსო 2.10
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული უებერი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული სატო 50.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული როსბერგი 120.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ვილნევი 90.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული რაიკონენი 9.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ფიზიკელა 12.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული მასა 12.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ტრული 35.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ბარიკელო 60.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ბატონი 70.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული ჰეიდფელდი 90.00
13:00 ..... 1001 ..... გამარჯვებული დე ლა როსა 20.00

უნგრული შემოდგომის მოლოდინში

ტოპაი ჯარგია, მაგრამ სექტემბერში რქაწითელი სჯობს



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებს ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში მოსახვედრად ერთი ერთი გამარჯვებაღა სჭირდება. მესამე წელია, გელა ელერდაშვილის გუნდი მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში თამაშობს. აქამდე სულ ადგილის შესანარჩუნებლად უწევდა ბრძოლა. ახლა კი პირველი ჯგუფის საგზურის რეალური კანდიდატია. გასულ უქმეებზე ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ თავისზე მაღალრეიტინგიან პოლონელებს მათსავე კედლებში აჯობეს. გადამწყვეტი შეხვედრა 22-24 სექტემბერს ისევ სტუმრად, უნგრეთში ელით.

— აქამდე ყოველთვის პირველსავე წრეში ვმარცხებოდით და მეორე ჯგუფში დასარჩენად გვიწევდა თამაში — იხსენებს პოლონეთიდან დაბრუნებული გუნდის კაპიტანი გელა ელერდაშვილი — წლეულს აშკარად უკეთესი ნაკრები გვყავს, ვიდრე წინა წლებში და უსიამოვნო ტრადიციის დარღვევაც თავიდანვე დავისახეთ მიზნად

— მაგრამ ბოლო მეტოქე, პოლონეთი ლაბაძესა და ჩიხლაძეზე მაღალრეიტინგიანი ჩოგბურთელებით იყო დაკომპლექტებული...

— ცხადია, ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ გდანსკშიც მხოლოდ მოსაგებად ჩავედით. წინასწარი გათვლით, სამი ქულა ერთეულთა შეხვედრებში უნდა აგველო. წყვილებში პოლონელებს გაცილებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მათი წყვილი მსოფლიოს ოცეულშია.

— ამ სამიდან ორი ქულა ლაბაძეზე დაგეგმეთ?

— რა თქმა უნდა. აიღო კიდეც, მაგრამ ეს ორი ქულა უდიდეს ნერვიულობად დაგვჯდა. პირველ დღესვე, ბადესთან გასვლისას ფეხი გადაუბრუნდა და შეხვედრა ძლივს დაასრულა. წყვილთა თამაშს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით, მაგრამ ირაკლი კორტზე მაინც შევუშვით. თავიდან კარგადაც დავიწყეთ, მაგრამ როცა შევატყვეთ, მოსაგებად უდიდესი ძალის დახარჯვა იყო აუცილებელი, აღარ გავრისკეთ და თავი აღარ შევაკალით. მესამე შეხვედრაც გამაყუჩებლით ჩაატარა, მაგრამ შუა თამაშში ფეხი ისე დაუსივდა, ყოველ წუთს ველოდით, როდის შეწყვეტდა. ეს კი საერთო წაგების ტოლფასი იქნებოდა. ლაბაძემ ტკივილს ბოლომდე გაუძლო და საერთო ანგარიშიც გაათანაბრა. ამ თამაშის შემდეგ ექიმებმა ორი კვირით აუკრძალეს ვარჯიში.

— გადამწყვეტი ქულა კი ლადო ჩიხლაძემ აიღო...

— ლადო მშვენიერ ფორმაშია. იმაზე უკეთესში, აპრილში თბილისში რომ ვნახეთ სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, მისი მთავარი კოზირი უძლიერესი მოწოდებაა. პოლონელებს მიწის საფარზე ვეთამაშეთ და ამიტომ ეს უპირატესობა ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ ლადომ ჭკვიანური თამაშით მაინც დამაჯერებლად მოიგო.

— ლადო პოლონეთიდან სად გაემგზავრა?

— გდანსკში პირადი მწვრთნელთან ერთად იყო ჩამოსული. თამაშის შემდეგ გერმანიაში გაემგზავრნენ, იქიდან კი ავსტრიაში უნდა ჩასულიყვნენ მორიგი ტურნირის სათამაშოდ.

— მეორე წყვილში ბულგარეთმა შინ უნგრეთთან წააგო. თქვენ ვისი მოგება გერჩივნათ?

— ბულგარეთს რომ მოეგო, სექტემბერში თბილისში ვეთამაშებოდით. ახლა კი უნგრეთში ჩვენ გვიწევს ჩასვლა. პირველ ჯგუფამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება და ადვილად წარმოსადგენია, რა ძნელი თამაშები გველის. საკუთარი კედლების ფაქტორი ძალიან დიდი უპირატესობაა, მაგრამ ვეცდებით, გადამწყვეტი შეხვედრაც მოვიგოთ. ასე ახლოს მიზანთან არასოდეს ვყოფილვართ. რეალურადაც თუ შევხედავთ, პოლონეთი აშკარად უფრო ძლიერია, ვიდრე უნგრეთი.

— უნგრეთამდე ორი თვეა. სასექტემბროდ ერთობლივ შეკრებას ხომ არ გეგმავთ?

— ალბათ ერთი კვირით ადრე შევიკრიბებით, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცი. ეს მნიშვნელოვანწილად ლაბაძე-ჩიხლაძის გეგმებზე იქნება დამოკიდებული და იმაზეც, თუ რა საფარს შემოგვთავაზებენ უნგრელები. სავარაუდოდ, თიხნარს აირჩევენ, რადგან იციან, სწრაფი საფარი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ლაბაძის ორი პრობლემა

პოლონური შეხვედრების შემდეგ ნაკრების ლიდერი ირაკლი ლაბაძე თბილისში ვამოემგზავრა. წინასწარ დაგეგმილი ტურნირი დევისის თასზე მიღებულმა ტრავმამ ჩაუშალა. სავარაუდოდ, კორტზე აგვისტოში დაბრუნდება. სამკურნალო პერიოდს კი საქართველოში გაატარებს.

— პოლონელებთან თამაშის შემდეგ რა ტურნირზე უნდა გამოსულიყავი?

— სოპოტში 500-ათასიანი ტურნირი იმართება და იქ თამაში მსურდა, მაგრამ ტრავმამ არ გამიშვა.

— ახლა როგორ გრძნობ თავს?

— არა მიშავს, მაგრამ ექიმების რჩევით, ორი კვირა მოცდა მომიწევს, ტრავმა რომ არ გავირთულო.

— რომელ ტურნირზე აპირებ კორტზე დაბრუნებას?

— ორ-სამ კვირაში, სანქტპეტერბურგში. ოლონდ სამისად ორი რამაა აუცილებელი: ტრავმის ბოლომდე მორჩენა და რუსეთის ვიზის მიღება. იმედია, ორივე პრობლემა მოგვარდება.

— დევისის თასის დასკვნით ეტაპზე რაღას იტყვი?

— უნგრეთი პოლონეთზე სუსტი გუნდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მძიმე ბრძოლა გველის. უნდა მოვიგოთ.

ოთარ მაღლაკელიძე



სოფო მელიქიშვილი

ფოტო ოლიმპიადა 2006

სალომე და ტატიანა

დევისის თასზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე, სავარაუდოდ, ავსტრიის ქალაქ სენტ-პოლტენის თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირში იასპარეზებს. მოგეხსენებათ, ჩიხლაძემ პოლონელებთან სადევისოსო მატჩის გადამწყვეტ, მეხუთე შეხვედრაში სამ სეტში მოუგო მასპინძლების მეორე ნომერს მიხალ პრზისეჟნის და სანაკრებო ბატალიების შემდეგ პირადი რეიტინგის გაუმჯობესებას სენტ-პოლტენში შეეცდება, სადაც პირველ ნომრად უნდა იყოს განთესილი.

ჩიხლაძის გარდა ამ კვირაში სხვადასხვა რანგის ტურნირებზე კიდევ რამდენიმე ჩვენებური ცდის ბედს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რაღა თქმა უნდა, ამერიკული სტენფორდის ჰარდზე WTA-ს ეგიდით მიმდინარე 600 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის ქქონე შეჯიბრია, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზეც წარუმატებლად იასპარეზა სალომე დევიძემ. ქართველ ქალთა შორის მე-4 რეიტინგის მქონე დევიძემ საკვალიფიკაციო ტურნირის პირველივე წრეში უიმედოდ — 0:6, 1:6 წააგო WTA-ს კლასიფიკაციის 101-ე ნომერთან, უკრაინელ ოლგა საჭრუკთან, თუმცა ამით დევიძის სტენფორდული თავგადასავალი არ დასრულებულა — ქართველი საკმაოდ ცნობილ და გამოცდილ რუსთან, ტატიანა პანოვასთან ერთად წყვილთა ძირითად ბადეშია და პირველ წრეში უკრაინელების ალიონა და კატერინა ბონდარენკოების დუეტს შეხვდება.

ამერიკაში, კერძოდ კი ლექსინგტონის ჰარდზე თამაშობს ჩვენი მეორე ნომერი სოფო მელიქიშვილი, რომელიც ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე შეჯიბრის ძირითად ბადეში ვერ მოხვდა და საკვალიფიკაციო ეტაპიდან ეცდება წინ წასვლას.

რაც შეეხება ქართველ ქალთა შორის საუკეთესო რეიტინგის მქონე მაკა ჩახნაშვილს, ის ევროპაშია და იტალიური მონტენორი დარბიას თიხაზე, ITF-ის 25 ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეშია. სავარაუდოდ, მაკა განთესილთა შორისაც კი უნდა იყოს.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ორადეა. რუმინეთი. 22-30 ივლისი

მეათე ადგილი კარგია, მაგრამ ქართველებისთვის ესეც ძნელია

რუმინულ ორადეაში, ევროპის ახალგაზრდა წყალბურთელთა ჩემპიონატზე, ჯგუფური შეხვედრების მერე, გუშინ დასვენების დღე იყო, დღეს კი ბრძოლები განახლდება: ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს, სხვები კი, უპირველეს ყოვლისა, მეცხრე-მეათე ადგილებისთვის შეეცილებიან ერთმანეთს.

საქმე ისაა, რომ ამ ჩემპიონატის ათი საუკეთესო გუნდი მსოფლიოს პირველობაზე დაიშვება და მათ არც გაისად გასამართ ევროპის პირველობისთვის შესარჩევი ტურნირის გავლა მოუწევთ.

თუ ორადეაში მეორე ეშელონში მოხვედრილ გუნდებს გადავხედავთ, საეჭვოა, რომ საქართველოს ნაკრებმა იმ მეცხრე-მეათე ადგილებზე გასვლა შეძლოს. ამ ადგილებს ჯგუფურ ტურნირში ხელმოცარულთაგან, ალბათ, რუსეთის, იტალიის და საფრანგეთის გუნდები შეეცილებიან ერთმანეთს.

ჩანვლილი მატჩებიდან რვა უძლიერეს გუნდში მოსახვედრად ყველაზე დაძაბული შეხვედრა საფრანგეთისა და რუმინეთის გუნდებს შორის გაიმართა, რომელთაც 2-2 ქულა ჰქონდათ. მათმა დაპირისპირებამ უძლიერესი ვერ გამოავლინა, რაკიღა შეხვედრა ფრედ, 7:7 დასრულდა, რაც ამ ჩემპიონატში ერთადერთი გამონაკლისი იყო. საბოლოოდ ამ ორ გუნდს შორის საუკეთესო მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდებამ გამოავლინა. ეს საფრანგეთი გახლდათ.

ანალოგიური ვითარება იყო C ჯგუფში, სადაც 4-4 ქულა ერთბაშად სამ გუნდს: საბერძნეთს, ხორვატიასა და იტალიის დაუგროვდა, ბურთების ბალანსმა კი მათ ამავე თანმიმდევრობით მიუჩინა ადგილი.

დღეს ჩემპიონატი განახლდება და საქართველოს ნაკრები სლოვენიის გუნდს შეხვდება, ხოლო ხვალ ჩვენი წყალბურთელები ბრიტანელებს დაუპირისპირდებიან.

ავთანდილ ბუკვიშელი

A ჯგუფი					
სერბეთი	3	0	0	53:17	6
სლოვაკეთი	2	0	1	37:30	4
სლოვენია	1	0	2	16:36	2
ბრიტანეთი	0	0	3	14:37	0

B ჯგუფი					
უნგრეთი	3	0	0	37:17	6
საფრანგეთი	1	1	1	34:26	3
რუმინეთი	1	1	1	25:22	3
საქართველო	0	0	3	22:53	0

C ჯგუფი					
საბერძნეთი	2	0	1	34:13	4
ხორვატია	2	0	1	37:19	4
იტალია	2	0	1	28:20	4
პოლონეთი	0	0	3	9:55	0

D ჯგუფი					
ესპანეთი	3	0	0	35:24	6
გერმანია	2	0	1	23:22	4
რუსეთი	1	0	2	25:30	2
ნიდერლანდები	0	0	3	23:30	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ აგასის ბოლო ლექციები

კაცები
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 646 250 €

პირველი წრე

შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ხუან-ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) 3:6 6:4 7:6; **ალექს კალატრავა** (ესპანეთი) — დიეგო ხუნქუერა (არგენტინა) 4:6 6:3 6:4; **დუშან ვემიჩი** (სერბეთი) — არმინ სანდიბიხლერი (ავსტრია) 6:3 6:3; **პეტერ ლუშჩაკი** (ავსტრია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:1 3:6 6:1; **სერხიო როიტმანი** (არგენტინა) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) 6:4 6:3; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — დიკ ნორმანი (ბელგია) 6:0 6:4; **მარკოს დანიელი** (ბრაზილია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4 6:3

კაცები
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 340 250 €

პირველი წრე

სიმონ გრეილი (გერმანია) — ალესიო დი მაურო (იტალია) 7:5 7:6; **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 7:5 6:4; **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — ჟულიენ ბენეტო (7, საფრანგეთი) 2:6 6:3 6:2; **მარიან ჩილიჩი** (ხორვატია) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:7 6:4 6:3; **ფილიპო ვოლანდრი** (8, იტალია) — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) 6:1 (უარი); **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ფლავიო ჩიპოლა (იტალია) 6:2 6:1; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 7:6 6:7 7:5

კაცები
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 500 000 $

პირველი წრე

იგორ კუნიცინი (რუსეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 4:6 6:4 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (8, რუსეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 7:6 7:6; **ფერნანდო გონსალესი** (3, ჩილე) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 7:6 7:6; **პოლ კაპდევილია** (ჩილე) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 3:6 6:4; **კენეტ კარლსენი** (დანია) — პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) 6:2 5:7 7:6; **ანდრე აგასი** (აშშ) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:6 6:0

ქალები
სტენფორდი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

სიბილ ბამერი (ავსტრია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3 5:7 6:4; **შაჰარ პეერი** (7, ისრაელი) — ამბერ ლიუ (აშშ) 4:6 6:1 6:0; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 7:5 6:2; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:2 6:3

ქალები
ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

პირველი წრე

მარტინა მიულერი (გერმანია) — ნატალი ვიერინი (იტალია) 6:3 6:2; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — ჯულია შრუფი (6, გერმანია) 6:2 6:0

კიდევ ათიოდე დღეც და საჩოგბურთო სამყაროს ეპიცენტრი ჩრდილოეთ ამერიკა გახდება. ყველა მეტ-ნაკლებად ძლიერი ჩოგბურთელიც ოკეანისგაღმეთს მიაშურებს. ჯერჯერობით კი გრუნტის მოყვარულნი, ძირითადად ესპანელები და არგენტინელები, ევროპას და აქ შემორჩენილ სათიხნარო ტურნირებს ვერ ელევიან და ამერიკაში წასვლას არ ჩქარობენ. თუმც ჩოგბურთელთა მეორე ნაწილმა ადრეულად გადაწყვიტა ატლანტიკის გადალახვა, რათა იანკურ ჰარდსა და კლიმატს აქედანვე შეეგუონ.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ პირველ სათამაშო დღეს ფავორიტებს თითქმის ვერ ვხედავთ, მაგრამ ლოს ანჯელესში თავიდანვე რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. განსაკუთრებული მოვლენა კი ჩოგბურთიდან უკვე თითქმის წასული ანდრე აგასის კორტზე გამოჩენა იყო. ყველას აინტერესებდა ვეტერანის სათამაშო ფორმა. ისედაც, აგასის კორტზე ყოველი გამოჩენა ხომ ნამდვილი სპექტაკლია.

ანდრემაც არ გააწბილა თავისი გულშემატკივრები და ყველას დაანახვა, რომ თავისი წონადი სიტყვის თქმა კვლავაც შეუძლია. შეიძლება მას სისწრაფე აკლია, მაგრამ კოლოსალური გამოცდილების ხარჯზე კორტზე პროფესორივით ირჯება და იმდენი ძალა კიდევ შესწევს, რომ ქსავიე მალისის მაგვარ ხალხს იოლად გაუსწორდეს.

ბელგიელი პირველ სეტში კი ებრძოლა კორტის მეორე მხარეს მდგომ ცოცხალ ლეგენდას, მაგრამ მეორეში ბენილუქსელი სტატისტის როლითღა დაკმაყოფილდა და გეიმიც ვერ აიღო.

კალიფორნიაში კიდევ ორმა განთესილმა მოიგო — დმიტრი ტურსუნოვსა და ფერნანდო გონსალესს მეტოქეთა დასამარცხებლად ორი-ორი სეტი კი დასჭირდათ, მაგრამ ორივეს ტაი ბრეიკების თამაში მოუწია და ამიტომ ვერავინ იტყვის, იოლად იმარჯვესო.

სამაგიეროდ, არ გაუმართლათ განთესილებს ხორვატიულ უმაგში. მთავარი კი ის იყო, რომ ბალკანეთს დაემშვიდობა მეორე ნომერი ხუან-კარლოს ფერერო. ამ ესპანელის მიერ ბოლო ხანს ნაჩვენებ საზიზღარ თამაშზე მუდმივი ლაპარაკი იქნებ მოსაბეზრებელიცაა, მაგრამ ფერეროს შეუნელებლი სვლა საჩოგბურთო უფსკრულისაკენ, მაინც ბევრ სპეციალისტს აკვირვებს.

პირველ წრეშივე წააგო წლევანდელი „როლან გაროსის" ყველაზე მოულოდნელმა მეოთხედფინალისტმა ჟულიენ ბენეტომაც, რომელიც პარიზული წარმატების შემდეგ კვლავაც თავის ძველ, ჩელენჯერების დონეს უბრუნდება.

ავსტრიულ კიცბიუელში ფავორიტების კორტზე გასვლამდე მასპინძლებმა გაიხარეს და მეორე წრეში გააღწიეს. თუმც რამდენად გამოუვათ უფრო შორს წასვლა, ძნელი სათქმელია.

ქალებმა კი ამერიკულ სტენფორდში დაიწყეს ჩოგნის ქნევა. მეორე წრეში გავიდა ტატიანა გოლოვინი, რომელმაც ადვილად მოუგო ალიონა ბონდარენკოს. კიდევ ჩანდა რუბინის დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნებაა აღსანიშნავი, თუმც შავტუხა ამერიკელისთვის პირველი თამაში უიღბლო აღმოჩნდა და ჩანდამ თანამემამულე ჯილ კრეიბასს დაუთმო გზა.

ბაჩა ლომაშვილი

ანდრე აგასის მასტერ-კლასი მალე დასრულდება

AFP

მრბოლები: 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) — 195 ქულა; 2. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი) — 175; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) — 150; 4. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი) — 145; 5. ივან ბასო (იტალია, CSC) — 138; 6. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) — 120; 7. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) — 118; 8. იორგ იაკშე (გერმანია, ასტანა) — 106; 11. პატრიკ სინკევიჩი (გერმანია, T-მობილი) — 90; 12. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) — 89; 13. ფაბიან კანსელარა (შვეიცარია, CSC) — 87; 14. მიხაელ ბოგარდი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 85; 15. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისქავერი) — 85; 16. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) — 84; 17. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) — 83; 18. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) — 83; 19. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) — 76; 20. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, ასტანა) — 75.

გუნდები: 1. CSC (დანია) — 246; 2. T-მობაილი (გერმანია) — 226; 3. ილეს ბალეარსი (ესპანეთი) — 216; 4. ფონაკი (შვეიცარია) — 213;5. დისქავერი (აშშ) — 208; 6. რაბობანკი (ჰოლანდია) — 204; 7. ლამპრე (იტალია) — 188; 8. ასტანა (ყაზახეთი) — 185; 9. ლოტო (ბელგია) — 177; 10. გეროლშტაინერი (გერმანია) — 168.

ქვეყნები: 1. იტალია — 523; 2. ესპანეთი — 515; 3. გერმანია — 364; 4. აშშ — 352; 5. ავსტრალია — 239; 6. ბელგია — 237; 8. საფრანგეთი — 226; 8. ჰოლანდია — 215; 9. შვეიცარია — 158; 10. ლუქსემბურგი — 150.

ვალვერდე მაინც პირველია

ფლოიდ ლენდისს ფრანგულმა გაუჭრა

დასრულდა 93-ე „ტურ დე ფრანსი" და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) გამოაქვეყნა როგორც ველოსიპედისტების, ისე გუნდებისა და ქვეყნების ახალი რეიტინგები.

კლასიფიკაციის სათავეში კვლავაც „ილეს ბალეარსის" ესპანელი მრბოლი ალეხანდრო ვალვერდეა, რომელმაც „ტურზე" ერთ-ერთ საწყის ეტაპზევე მიიღო ტრავმა და რბოლა ველარ დაასრულა. მიუხედავად ამისა, 26 წლის ბასკი, სეზონის პირველ ნახევარში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მაინც დამაჯერებლად ლიდერობს პრო-ტურის რეიტინგს.

მეორე ადგილზე „ტურის" ახალმა ჩემპიონმა, 30 წლის ამერიკელმა ფლოიდ ლენდისმა, აინაცვლა. არადა, ლენდისი აქამდე მხოლოდ 26-ე იყო, მაგრამ ფრანგული ტრიუმფის წყალობით, ერთბაშად 24 ადგილით დაწინაურდა. ლენდისის გარდა, გვარიანი ნახტომები გააკეთეს ავსტრალიელმა კედელ ევანსმა (მეოცედან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა) და ვეტერანმა ფრანგმა კრისტოფ მორომ, რომელიც მეცამეტედან მეშვიდეზე გადასკუპდა.

ყველაზე წარმოუდგენელი პროგრესი მაინც ოსკარ პერეირო სიომ განიცადა — აქამდე ის საერთოდ არ იყო კლასიფიკაციაში და ახლა, „ტურზე" დაკავებული მეორე ადგილის წყალობით, ერთბაშად მეჩვიდმეტე საფეხურს უწია.

პირველ ათეულში არ არის, მაგრამ დიდი პროგრესი განიცადა რუსმა დენის მენშოვმაც — 57-ე პოზიციიდან ერთბაშად მეთვრამეტეზე გადაინაცვლა. მძლავრი ნახტომი გააკეთა „ტურის" საუკეთესო სპრინტერმა, ავსტრალიელმა რობი მაკევენმაც, რომელმაც 56-ე ადგილიდან 21-ზე აიწია.

პირველ ოცეულში ვერ ვხედავთ ისეც ცნობილ გვარებს, როგორებიცაა: იტალიელი ალესანდრო პეტაკი (23), ამერიკელი ლევი ლეიფჰაიმერი (26), ამერიკელი ჯორჯ ჰინკეპი (28), გერმანელი ანდრეას კლოდენი (29), ესპანელი კარლოს სასტრე (30) და კიდევ ერთი გერმანელი, იან ულრიხი (31).

გუნდებს შორის პირველ ადგილზე კვლავ დანიური CSC არის, ხოლო ეროვნებათა ჩათვლაში იტალიელები ლიდერობენ.

გია მუჯირი

ნინო სალუქვაძემ ფინალს გაარტყა, მედალს — ვერა

ხორვატიის ქალაქ ზაგრებში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მედლები პნევმატური პისტოლეტით მსროლელმა ქალებმა გაითამაშეს. 10-მეტრიან დისტანციაზე 119 ქალი დადგა. მათ შორის სამი ქართველიც.

ჩვენებურთაგან საუკეთესო შედეგი, რა თქმა უნდა, ნინო სალუქვაძემ აჩვენა. ყველაზე ტიტულიანმა ქართველმა მსროლელმა წინასწარ სროლებში 384 ქულა დააგროვა. ეს კი მეოთხე შედეგი იყო და ნინომ ფინალში გააღწია. სამწუხაროდ, იქ ყველაზე ცუდად ისროლა — მონაგარს მხოლოდ 96,3 ქულა მიამატა და ჯამში მერვე ადგილი დაიკავა. ნინო უჩაძე 370 ქულით 88-ე ადგილზე გავიდა, თამილა ასათიანი კი 369 ქულით 95-ე იყო.

გუნდურ პირველობაში ქართულმა სამეულმა 1123 ქულა დააგროვა, რაც 32 გუნდში მხოლოდ მეოცე ადგილზე გასასვლელად ეყო, რითაც ფინალურ სროლებში გაღწევის შანსი მოისპო.

გული არ მწყდება, მიხარია...

მანუჩარ მარკოიშვილმა ეროვნულს გაუგორა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი ერთ-ერთი ლიდერის, მანუჩარ მარკოიშვილის დაუხმარებლად მოიგო. მანო ამ ნაკრებს კადეტთა ასაკიდან მოჰყვება და ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდა ამათუ იმ ასაკობრივ ევროჩემპიონატებზე. მარკოიშვილს 1985-86 წლებში დაბადებულთა ნაკრებში არაერთხელ უთამაშია ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე, ბომბარდირიც გამხდარა და ნაკრებს მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვებაში დახმარებია. ამჯერად მანუჩარი თანამებრძოლებს პორტუგალიაში ვერ გაჰყვა, შემოდგომაზე ნაოპერაციევი ბუხლი აწუხებდა და, ექიმების რჩევით, დასვენება ამჯობინა. წინ ეროვნული ნაკრების მატჩებია და მარკოიშვილმა ვერ გარისკა მტკივანი ფეხით სოლიდურ ტურნირზე წასვლა. მანუჩარი ახალგაზრდებს რაჭიდან ქომაგობდა და უშუალოდ პორტუგალიაში მყოფებზე ნაკლებ როდი ვაუხარდა ნაკრების წარმატება...

— უზომოდ გახარებული ვარ. ბიჭებმა ძალიან იყოჩაღეს. ხმაურობა ხომ არაა, 16 გუნდში პირველი ადგილი დაიკავეს.

— ალბათ, ძალიან გინდოდა, ამ გამარჯვებაში შენც დაგედო წილი...

— უდიდესი სურვილი მქონდა, ამ ბიჭებთან ერთად წლების მანძილზე ვთამაშობდი, არაერთ ტურნირზე ყველას ერთად გაგვიზიარებია გამარჯვების სიხარული და წაგების სიმწარე. ახლაც მინდოდა, 86-იანებში ერთხელაც მეთამაშა, მაგრამ...

— მთლად ისე არ იყავი, რომ ვერ გერბინა და გული ხომ არ გწყდება, პორტუგალიაში რომ არ გაჰყევი ახალგაზრდულ ნაკრებს?

— ბიჭებმა უჩემოდაც კარგად ითამაშეს და მაქსიმალურ შედეგს მიაღწიეს, გული რაღაზე უდა დამწყდეს. უჩემოდაც შეიძლებოდა A დივიზიონში ანაცვლება და სწორი გავაკეთე, ჯანმრთელობა საფრთხეში რომ არ ჩავიგდე. მაგრამ ერთიცაა — არ მინდა, სანანებელი გამიხდეს, პორტუგალიაში რომ არ წავედი.

— სანანებელი რატომ?

— მალე ეროვნულ ნაკრებში მომიწევს თამაში და თუ კოჭმა მიმტყუნა, ესე იგი, თბილისში დარჩენას და ფეხის მკურნალობას აზრი არ ჰქონია. თუ მაინც არ მომიშუშდებოდა, მაშინ პორტუგალიაში ვითამაშებდი და ჩემი მეგობრების სიხარულს გავიზიარებდა.

— ახლა როგორ გაქვს ჯანმრთელობის საქმე?

— უკეთესად. ტკივილმა თითქმის გამიარა. ვცდილობ, ისეთ ფორმაში შევიდე, სლოვენიის ჩემპიონატის ბოლოს რომ ვიყავი. დავრბივარ და კალათაში ბურთს ვისვრი. მე და ჩემი ძმა ერთად ვვარჯიშობთ.

— რაჭაში საკალათბურთო დარბაზი სად იპოვე?

— ონის სკოლის დარბაზში დავდივართ. ბურთი თბილისიდან ჩამოვიტანე ეგაა, ვერ ვთამაშობთ, თორემ სრულით გულის ჯერებამდე ვისვრით.

— მაშ, ეროვნული ნაკრებისთვის მზად ხარ?

— იმედია, ფეხი არ მიმტყუნებს და ეროვნულ ნაკრებს მაინც გამოვადგები. თბილისში, ალბათ, 1 აგვისტოს ჩამოვალ, 5-ში კი ეროვნულის შეკრებაც იწყება.

— „ოლიმპიაში" რამე ახალი ხომ არაა?

— არ ვიცი, რაჭაში ინტერნეტი არ მაქვს და სიახლეებს ვერ ვიგებ. ის კი ვიცი, რომ 7-დან 21 აგვისტომდე ლიუბლიანელები შეკრებას აწყობენ და მეც მიმიწვიეს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ „ოლიმპიას" უარი შეუთვალა, სლოვენიელებიც გაგებით შეხვდნენ ჩემს ჩაუსვლელობას.

ირაკლი პერტაია

იტალიურ მაფიას გრძელი ხელები აქვს

ჯერარდინიმ კოლანჯელოს მთელი ბენეტონი ჩაუყვანა

ხორხე გარბახოსა ტორონტოში ჩავიდა

კიდევ ერთი ევროპელი ვარსკვლავი შეიმატა ნბა-ს კანადურმა გუნდმა „ტორონტო რეპტორზმა" — ესპანელი თავდამსხმელი ხორხე გარბახოსა. კლუბის ბოსები ამ ზაფხულს მეტსაც არაფერს აკეთებენ — შემადგენლობას ევროლიგაში ნაწრთობი მოთამაშეებით ავსებენ. „ტორონტოს" ახალწვეულთა დიდი ნაწილი ტრევიზოს „ბენეტონის" ყოფილი წევრია და ყველა მათგანი „რეპტორზის" ახალ მენეჯერ მაურიციო ჯერარდინის უნდა უმადლოდეს ნბა-ში მოხვედრას.

„ტორონტოს" ახალმა შეფმა ჯერი კოლანჯელომ კლუბში ორიოდ თვის წინ მიიყვანა „ბენეტონის" გენერალური მენეჯერი მაურიციო ჯერარდინი და ევროპაში რიგიანი მოთამაშეების მოძიება დაავალა. იტალიელიც გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და უკვე დაღვინებულ მოთამაშეებს გაზეთებივით იწერს ბებერი კონტინენტიდან. ჯერარდინის წინადადებით, „ტორონტომ" დრაფტზე კუთვნილი პირველი არჩევანის უფლება „ბენეტონის" ჯეელ მეფარე ანტონიო ბარნანიზე დახარჯა. შემდეგ თელ ავივის „მაკაბის" ტონი პარკერი მოსტაცა, რომელსაც ამერიკული პასპორტი აქვს და იქაური სკოლაც გაუვლია, მაგრამ ექვსი წელი ევროპაში იყო და ევროლიგას აზანზარებდა. ამას მოჰყვა ასევე „ბენეტონში" ნათამაშები, სლოვენიელი მიროსლავ შლოკარი და ახლა უკვე გარბახოსაც, რომელიც ბოლო ორი წელი მალაგას „უნიკახასთვის" იხვეჭდა ქულა-მოხსნებს, მაგრამ მანამდე 5 წელი „ბენეტონის" ფარს ამაგრებდა. სულ არ გაგვიკვირდება, ჯერარდინიმ ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილიც რომ წაიყვანოს „ტორონტოში". ისიც ხომ ყოფილი ბენეტონელია, 2002 წელს გარბახოსას მხარდამხარ უთამაშია. ვინ იცის, მანუჩარ მარკოიშვილმაც იქ ამოყოს თავი — მანოს 2003 წელს „ბენეტონის" მაისურით ევროლიგის ფინალი აქვს ნათამაშები.

ესეც სათქმელია, რომ ჯერარდინიმ ორი კვირის წინ „სან ანტონიოდან" წაიყვანა ნბა-ში ჭიპმოჭრილი სლოვენიელი ცენტრი რადოსლავ ნესტეროვიჩი. და კიდევ: „რეპტორზში" უკვე თამაშობს ესპანელი გამთამაშებელი ხორხე კალდერონი. მოკლედ, გაიგსო „ტორონტო" ევროპელებით და ესაა.

გარბახოსას შემატება კლუბს არც მთლად გროშებად დაუჯდა — ტორონტოში ესპანელმა 3-წლიან და 12-მილიონიან კონტრაქტს გამოჰკრა ხელი და სიმართლე ითქვას, არცთუ დაუმსახურებლად. 206-სანტიმეტრიანი ესპანელი მეფარე 28 წლისაა და უკვე 11 წელია, უმაღლეს დონეზე თამაშობს. ორი ოლიმპიადა და ლამის ათეული ევროლიგური სეზონი აქვს ზურგს უკან. შარშან ის „უნიკახას" ევროლიგაში საშუალოდ 14,8 ქულას და 6,9 მოხსნას უხვეჭდა. ნბა-ში ამის ნახევარიც რომ შეძლოს, მთლიანად გააამოლებს მასზე გაცემულ მილიონებს.

ხორხეს შემატებას წარმატებად აღიქვამს ჯერარდინი — „მას არავისი ეშინია და ფარქვეშ ნებისმიერთან თამამად შედის ბრძოლაში. სამწამიან ზონაში ფასდაუდებელი სამუშაოს შესრულება შეუძლია."

კოტე ყორღია

დალასმა გასახდელი ჩააჩუმა



ენტონი ჯონსონი (მარჯვნივ) „დალასში" გადაბარგდა

მომავალი სეზონისთვის შემადგენლობას ამზადებს „დალას მაევერიკსი". ამ ზაფხულს პლეი ოფის თითქმის მომგები ტეხასელები ფრთხილად, მაგრამ გეგმაზომიერად აძლიერებენ გუნდს და ივლისში ორი ახალი კალათბურთელიც შეიმატეს. თავდაპირველად მათ „ინდიანადან" თეთრი თავდამსხმელი ოსტინ კროშერი წამოიყვანეს სათადარიგო მსროლელ მარკის დანიელსის ნაცვლად და ახლაც „ინდიანასთან" განახორციელეს გაცვლა — ვეტერანი დარელ არმსტრონგი და ორი უსახელო მოთამაშე გამთამაშებელ ენტონი ჯონსონში გაუცვალეს.

„მაევერიკს" ძალიან დააკლდება არმსტრონგი, განსაკუთრებით პლეი ოფში. იგი ოდესლაც კარგ მოთამაშედ ითვლებოდა, ახლა კი უკეთესია — თუმცა 38 წლისაა და მოედანზე ბევრიც აღარაფერი შეუძლია, მაგრამ ახალგაზრდების გამხნევება-სწავლება კი კარგად გამოსდის და ამად ეძახიან „გასახდელის ლიდერს".

მის ნაცვლად „დალასმა" 31 წლის 191-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ენტონი ჯონსონი მიიღო და მისი დიდადაც ეიმედება. ჯონსონს ქულათა ხვეჭაც შეუძლია, მაგრამ ამასთან კარგი მეპასეცაა და ალბათ „მაევერიკსის" ხუთეულშიც მოუძებნიან ადგილს. ჯეისონ ტერი კი გამთამაშებლის პოზიციიდან მსროლელად გადაინაცვლებს და შეტევათა დაგვირგვინებით უფრო დაკავდება, ვიდრე მათი ორგანიზებით. ასე უფრო სარგებლიანიცაა. ერთი სიტყვით, „დალასისთვის" ეს კარგი ცვლილება იყო. ჯონსონი მატჩში საშუალოდ 15 ქულის და 6 პასის მკეთებელი კაცია, პლეი ოფში უფრო მეტისაც

კოტე ყორღია

საქართველოს თასი. ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი 29:10 ლელო

ლოკომოტივი: ასათიანი, ოსეპჩუკი, გიგაური, გილაური, გუგავა (ხაჩირაშვილი), კვინიხიძე (კაპ), ღვინჯილია, გასვიანი, ბუკია, ულენტი, მხეიძე, კახიანი (მთიულიშვილი), გუნდიშვილი, სუთიაშვილი (ბერიშვილი), ნიშნიანიძე (წეველიძე)
5 ლ: გუგავა, კახიანი, მხეიძე, ულენტი (2); **2 გ:** კვინიხიძე
ლელო: ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ქიზიყურაშვილი, მანჯავიძე, თოდუა, ხმალაძე (კაპ), თოფურია (მსხილაძე), ცხოვრებაშვილი (ტვილდიანი), ცხაკაია, ქუბრიაშვილი (ცერცვაძე), რამაზაშვილი, ჩიტიძე, მჭედლიშვილი, მძინარიშვილი, ახალაია
1 ლ: ცერცვაძე; **1 გ:** ყიასაშვილი; **1 ს:** ყიასაშვილი
მსაჯი: გია ჯავახიშვილი

გაბრიელ ეპიფანოვის ფოტო

რკინიგზის პარალელური ლიანდაგები

ლოკომოტივს თასი და ჩემპიონობა ერთად მიაქვს

ეს უკვე აქსიომასავითაა: თბილისის „ლოკომოტივი“ შინაურ რაგბიში შედეგებით საუკეთესო კლუბია. „ლოკომოტივმა“ ბოლო ათწლეულში თასი მეხუთედ შემართა და ოთხჯერ იჩემპიონა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზელთა შემჩერებელი არც შემოდგომაზე დასაწყებ საქართველოს ჩემპიონატზე ჩანს ვინმე, აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლოკომოტივი“ მეოთხე დუბლს გაახერხებს.

თავში „ლოკომოტიველთა“ მონაგარი ბოლო ათწლეულით რომ დავიანგარიშეთ, ტყუილად არ ყოფილა. ახლანდელ „ლოკომოტივს“ მანამდეც არაერთხელ მოუგია ჩემპიონობა და ზედ თასიც, მაგრამ ამ გუნდს მაშინ ხან „ქორები“ ერქვა, ხან „ვესტა“ და ხანაც „ივერია“.

ერთი სიტყვით, რაც ამ კლუბს თემურ ბენდიაშვილი წვრთნის, მისი რაზმი უტიტულოდ ერთიორჯერ თუ დარჩენილა.

გუშინ შარშანდელი ფინალის რემატჩი იყო. ერთი წლის წინ ქართული რაგბის ალაგზე, ვაკეში, „ლოკომოტივმა“ სულ ბოლოსდა, შებინდებისას გატეხა მებრძოლი „ლელო“. მაშინაც და ახლაც „ლოკომოტივი“ ფავორიტი იყო. ოღონდ შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად მარადიულმა ფავორიტმა ბოლო წუთებამდე აღარ მიიყვანა საქმე და მეთოდურად მოუგო მეტოქეს.

„ლელო“ გვარიანად შესუსტებული შეხვდა ფინალს. გაზაფხულიდან მოყოლებული ამ კლუბმა ბლომად მორაგბეები გაუშვა საფრანგეთში. მრავალბრძოლაგამოვლილი და საქართველოს ნაკრების „მომავლები“ — ლაშა ფერფილაშვილი, ედიშერ ჯამრულიძე, ოთარ ბარკალაია, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი სანიკიძე, დავით კობეშავიძე, ილია კახოიძე მერცხლის შემოფრენისთანავე გაიკრიფნენ საფრანგეთში. ამიტომაც ფინალს „ლელო“ ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშით გაჯერებული ახალგაზრდებით შეხვდა.

ისე თუ მიგრაციაზე მიდგა საქმე, ამ მხრივ საშემოდგომოდ არც „ლოკომოტივი“ იქნება დალხენილი. გუშინდელი სათასო ფინალის შემდეგ ამ კლუბს ორი ძირითადი გამწევი ძალა — გიორგი ულენტი და დავით გასვიანი მოაკლდება. ულენტი გოდერძი შველიძესა და დავით ზერაქიშვილის ელიტკლუბ „კლერმონის“, ხოლო გასვიანი „ვილ-ფრანსეს“ შერკინებას გაამაგრებს. ეს ისე, ინფორმაციისთვის. რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, „ლოკომოტივმა“ ულაპალაკოდ მოიგო.

მატჩამდეც ცხადი იყო, რომ რკინიგზელები ფავორიტები იყვნენ და, მათ, ზედიზედ უკვე მერამდენე ტიტულს, ახალგაზრდული „ლელო“, სადაც „უხუცესი“ მოთამაშე მხოლოდ 24 წლის ზურაბ ზაალიშვილია, ვერ შეეცილებოდა.

საგანგებოდ ფინალისთვის „ლოკომოტივში“ დაბრუნდა „პროფესორი“ მორკინალი გიორგი კახიანი, ვინც საქართველოს ნაკრების კანდიდატად კლოდ სორელის დროს მოიაზრებოდა, მაგრამ პირადი საქმეების გამო გაპროფესიონალება გადაიფიქრა. სწორედ კახიანმა მოუმთავრა საქმე „ლელოებს“, თორემ ლელო გაშვებული ჭაბუკები მათზე ბევრად ასაკოვან და გამოცდილი მეტოქეს მაინც ჯიქურ უტევდნენ. რკინიგზელების ნიკა მხეიძისა და გიორგი ულენტის ბოლო ორი ლელო კი უკვე ფორმალობა იყო — „ლოკომოტივი“ ტაიმნახევარში იყო თასის მფლობელი. კახიანის და ულენტის ლელოებს შორის „ლელომაც“ გაიტანა — თავისი შეცვლაზე შესულმა გიორგი ცერცვაძემ თავისიანებს ნამუსი მოწმინდა. მანამდე იყო შეხლა-შემოხლაც, „ხელი არ დაარტყა ბიჭო“ და მისნაირები, მგრამ მასიურ გუნდურ ჩხუბში ხელის გაქნევა არ გადასულა.

ეს ფინალი უნიკალური იყო „ლოკომოტიველთა“ ორი ღვაწლმოსილისთვის — აღიარებული მოშვიდკაცის და ცამეტკაცა რაგბის ერთ-ერთი მოთავის, 32 წლის გიორგი ასათიანისა და 28 წლის ბორჯღალოსანი ბობა კვინიხიძისოვის. მათ კარიერაში ეს მატჩი მეცხრე მოგებული ფინალი იყო, რაც შინაურ რაგბიში უნიკალური მონაგარია.

ერთიც, ამ მატჩს მოსეირე კი აკლდა, მაგრამ მთავრობამ მაინც დააფასა. ახალ გამინისტრებული რაგბის კავშირის პრეზიდენტის მერაბ ანთაძის გარდა, მატჩს კოტე გაბაშვილიც დაესწრო და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც. ისე, ტრიბუნაზე გვარიანად ფერხორციან და უცხოურად მადის აღმძვრელ მანდილოსნებსაც ნახავდით. დააფასეს რა, ქართული რაგბი...

გაჩო სვანიძე

გაბრიელ ეპიფანოვის ფოტოები

გიორგი ასათიანის გარღვევა ტრიბუნის ლამაზმანებს ნაკლებად აღელვებდათ

AFP ფარმერსვილიდან

AFP ქალაქიდან

AFP ფარმერსვილიდან

ჩემპიონის პატარა ქალაქში

დიდი სიხარულებია პენსილვანიაში, პატარა ქალაქ ფარმერსვილში, სადაც ტურ დე ფრანსის მომგების, ფლოიდ ლენდისის მშობლებს მთელი ამერიკა ულოცავს. მამა პოლი ბედნიერია, დედა არლენი კი საზეიმო ტორტებს დასტრიალებს, ვაშინგტონიდან კი ჯორჯ ბუში რეკავს მილოცვებით. პარიზში კი ტური აღარც ახსოვთ: მარსის მოედანზე ქვიშის ფრენბურთი გახურებულა: 3 ათასი ტონა ქვიშა მოუზიდავთ და გოგონებიც მოხდენილნი არიან.

AFP პარიზიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფერაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00